საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი 11 სექტემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-დან. ტელეფონი 16—62.

№ 207 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 207

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

განუსაზღვრელი მუწუხარებაში მყოფნი: დედ-მამა კესარია და მათე, კალენტი, დები: ლუბა, მარიამ, ქეთო, თამარა და ნინა, ძმები: სევერიან, სარდიონ და ვალოდი ხუხუნაიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ კვირას ამა წლის 12 სექტემბერს დანიშნულია ერთი წლის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულათ წუთისოფელს გამოსალმებულ სახალხო გვარდიის განსკუთრებული ბათალიონის უფროსის

სიმონ მათეს ძე ხუხუნაიშვილის

მოსახსენიებელი პანაშვიდი გადახდილი იქნება ს. ზემო აკეთში (გურია) წმინდა გიორგის ეკლესიაში 11 საათზე. (2891 3—2)

ღრმად დამწუხარებულნი მშობლები: დედა პელაგი, მამა სტეფანე, ძმა რემანოზი, ბიძები; სერგო და გალაქტიონი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალების ძვირფასი

შალვა სტეფანეს ძე ზაქრაძისას

რომლის დაკრძალვა მოხდება დღითი კვირას, 12 სექტემბერს წმ. ნინოს სასაფლაოზე. სამოქალაქო წესით. გამოსვენება დილის 9 ს. პარკოვის ქ. № 31. (ნაძალადევიდან). (2962—1—1)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ვარვარა, დედ-მამა მართა და კონსტანტინე, ძმები: ვარდენ, ნიკოლოზ, ნარიმან და რაფიელი, დები: ფროლენცია და მანია, რძლები: პელაგო და მაგდანე, სიძეები: სამსონ ბოლქვაძე და ლაზარე კანდელაკი, ქვისლი და ცოლის და ნინა და ბაგრატ ქუთათელაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. რომ ახალი სტილით 12 სექტემბერს სადგურ სუფსაში გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი. მათვის დაუვიწყარს ექიმის თანაშემწის

იპოლიტე კონსტანტინესძე

და თავის ერთის წლის ვაჟით იპოლიტე (კუსუნა) იპოლიტეს ძე შარაშიძეების სულის მოსახსენებლათ. (2965—1—1)

ანნა ივანეს ასული და გიორგი დიმიტრის ძე მელიქიძენი შვილებითურთ გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა/წ 9 ენკენისთვეს ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დედა პირველის და სიდედრი მეორის

დარია გიორგის ასული ცერაძისა

დაკრძალვა მოხდება კვირას 12 ენკენისთვეს ქ. ცხინვალში. (2970—1—1)

ღრმათ დამწუხრებული: ცოლი ელათი, შვილები: ავალონ, ვახტანგი, კატო, ნატაშა, მინადორა (შურა), ქალია და კაკალი, რძალი ანეტა, სიძეები: ვლოდია ქუთათელაძე და სპირიდონ ჯანჯღავა, შვილიშვილები: მიშა, ქსენია, ალეკო და პიჭიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს მათი ძვირფასი

მიტრო პეტრეს ძე სამსონიას

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას 12 სექტემბერს დილის 12 საათზე ს. ზედა-ძიმითში (გურია) წმინდა კვირიკეს ეკლესიის გალავანში. (2966—1—1)

თფილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო გულითადი და ღრმა მწუხარებით აუწყებს მშობელთა და მოწაფეებს, რომ სექტემბრის 10-ს უეცრად გარდაიცვალა გიმნაზიის სათაყვანებელი და საყვარელი დირექტორი

მიხეილ უარამანის ძე ზაალიშვილი

პანაშვიდი დანიშნულია დღეს, შაბათს საღამოს ექვს საათზე მიხეილის სავადმყოფოს სამლოცველოში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2971—1—1)

ამხ. მკითხველებისა და აგენტების საყურადღებოთ!

12 სექტემბრიდან განახლდება ყოველკვირეული გაზეთის

„სოციალ დემოკრატ“-ის

გამოცემა. ვთხოვთ ამხანაგებსა და პარტიულ ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ თავის გაზეთს ცნობების და წერილების მოწოდებით, გაზეთის გავრცელებით და ფონდის დაარსებით. ადრესი: ქუთაისი „სოციალ-დემოკრატის“ რედაქცია.

საქ. სოც.-დემ. პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის ბიურო.

(უფ.—7—5)

საერთაშორისო კლუბი
პეტრე დიდის ქ. № 6.
შაბათი, 11 სექტემბერი 1920 წელი

ბოშათა რომანსები
(Цыганскіе романсы)

თამარა წერეთელი | ოლღა დუნდერი ს. ი. ღიახოვი | ბორის პროზოროვსკი

ყოველ დღე, სადილის და ვახშმის დროს, უკრავს ორკესტრი ხტუპელის ხელმძღვანელობით. (2958 1—1)

სამხედრო სკოლაში
გრძელდება ახალგაზრდათა მიღება მიიღებიან აგრეთვე 1-ლ ხარისხის უფლებებით რომლებიც კი გადასული არიან მე-7 კლასში. (2949—2—2)

ქუთაისიდან დაბრუნდა ექიმი
მ. ი. ვოლოხი
და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33. (2614—თ.)

აღმოსავლეთის პრობლემა

აღმოსავლეთის განთავისუფლების რევოლუციონურ მნიშვნელობის საკითხი დღეს დღიურ წესრიგშია დაყენებული. ბაქოს ყრილობა აღმოსავლეთის ხალხთა ერთხელ კიდევ აქცევს საზოგადოებრივ ყურადღებას ამ საკითხისაკენ.

ჩვენც უნდა გავარკვიოთ ამ პრობლემის აზრი და შინაარსი. სრული სიმართლეა ის, რომ აღმოსავლეთის ხალხი, რომელიც დამორჩილებული ყავს ევროპის კაპიტალს და რომლის გაცარცვით იგი ფიქრობს მეტროპოლიაში შინაგან ბრძოლის სიმწვავის განელებას, საშინელ გაჭირვებას განიცდის. უდავოა ისიც, რომ ამ ხალხის განთავისუფლება დიდ გავლენას მოახდენს ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებზე.

მსოფლიო ომი, რომელმაც აუარებელი მსხვერპლი შეიწირა, სწორეთ ამ კოლონიებზე ბატონობის დასამარტოხელებლად იყო შექმნილი.

და მარცხებულნი გამარჯვებულებმა გასწმინდეს კიდეც ამ „ზედმეტი ბარგისაგან“. კოლონიები ჩამოერთვა გერმანიას და დაურიგდა ანტანტის წევრებს. მათვე დაინაწილეს ოსმალეთის მსუქანი კუთხეებიც.

აქედან ცხადია, აღმოსავლეთის განთავისუფლება ნიშნავს ამ ომიანობის მთავარი მიზეზის მოსპობას და ევროპის იმპერიალიზმის ფრთის შეკვეცას. იგი შეიტანს ამასთანავე თვით ევროპაში კლასთა ურთიერთობის ერთერთ გამწვავებას და სოციალურ კატასტროფის მოახლოვებას.

მაგრამ იბადება საკითხი, რა გზით შეიძლება ამის მიღწევა?

ბოლშევიკებმა ამის გზათ და ხიდათ გამოაცხადეს კომუნისტური ლაშქრის შესვლა ამ ქვეყნებში და მათი რუსეთის წითელ არმიელთა ხიშტებით დაპყრობა. მართალია, მათ ამ ჯარს განმათავისუფლებელი არმია უწოდეს, მაგრამ იგი განმთავისუფლებელია ამ ქვეყნების მხოლოდ სანოვაგისაგან, ქონებისაგან, დაგროვილი სიმდიდრისაგან და არა მტარვალთა ხელისაგან. ინგლისის მებატონეთა ნაცვლათ მათ თავს აჯდევენ ახალ ბატონს—რუსეთს.

და ამის შემდეგ არც გასაკვირველია იმ ტაშკენტელი დეპუტატის სიტყვა, ბაქოს ყრილობაზე, რომელმაც განაცხადა, ჩვენ გვინდა განთავისუფლება და ეს უნდა დავიწყოთ კომუნისტების ულლის კისრიდან მოშორებითო. „კომუნისტები“ კი არ ანთავისუფლებენ, არამედ ცვლიან ერთ ბატონს მეორით. სხვაგვარათ არც შეიძლება, როცა მათ მიზნათ აქვთ მხოლოდ ეს ხალხი ანტანტასთან ბრძოლის იარაღათ გამოიყენონ.

ამიტომ იქ, სადაც ბოლშევიზმი შედის წითელი არმიით, თავისუფლება კვდება. ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნებს თავისუფლება ევლინება სულ სხვა მხრივ და სულ სხვა ძალებიდან.

ეს ძალაა შინაგანი განვითარება და მოღონიერება, ეგვიპტე ამ დღეებში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ინგლისმა აღიარა დამოუკიდებელ ქვეყანად. ვერავინ იტყვის, რომ ეს ბოლშევიკებს მოემოქმედოს. მათ სპარსეთი დაიმონეს მხოლოდ და მათ ჯარს ჯერ ეგვიპტის ჰაერი არ მოუსუნთქავს.

ეგვიპტის მოძრაობა ვითარდებოდა შიგნიდან და მან მიაღწია გამარჯვებას.

ამგვარათვე შეიძლება და მოსალოდნელია ადრე თუ გვიან განთავისუფლება ინდოეთის და სხვა საკოლონიო ადგილების და ვისაც უნდა ამას ხელი შეუწყოს, მან უნდა იზრუნოს ამ ქვეყნების შინაგან აყვავებასა და კულტურულ განვითარებას.

ბოლშევიზმს ამისთვის არც ძალა შესწევს, არც უნარი. იგი მიდის მხოლოდ როგორც დამამხობელი და გამომფიტველი ძალა.

და ამიტომ, მიუხედავათ მყვირალა ლოზუნგებისა, იგი ამზადებს ამ ქვეყნების უმძიმეს უღელს.

ამიტომ ჩვენ სრული უარყოფით ვეპყრობით იმ პოლიტიკურ თამაშს, რომლის საგნათ ბოლშევიკებს გაუხდიათ აღმოსავლეთის ხალხი.

პრესა

„საქართველომ“ შესტოპა. ის გაჯავრებულ გუნებაზეა და საზღვარს ვეღარ უდებს თავის სიტყვებს.

ვერც იმას ამჩნევს, რომ მთელ თავის არგუმენტაციას ბოლშევიკებისაგან სესხულობს.

„მას (ე. ი. მე) არ ახსოვს ევროპის იმპერიალისტების მოსვლის სიხარულის ჟრუანტელით რომ ყველაზე უფრო ოფიციალ სოციალისტებს საქართველო ევებებოდა. მათი წასვლაც სხვაზე უფრო სწორეთ „ერთობის“ იდეურ თანამგზავრებმა გამოიტირეს. მეპრესის ხსოვნაში სავსებით ამოშლილია ის ბრწყინვალე სურათები, რომელიც იმართებოდა სხვადასხვა ბანკეტებში თუ რაუტებში დღეს მისგან ათვალისწუნებული „იმპერიალისტების“ მოსვლისა თუ წასვლის აღსანიშნავად“. („საქ.“ № 96)

ამასვე სწერდა „კომუნისტი“, თქვენ რატომ ბანკეტი გაუმართეთ უცხოელებსო, ბ-ბო, მაშ ომი რომ გაგვემართა მათთვის, უფრო გავიმარჯვებდით?

ეს რასაკვირველია არ შეუძლია გაიგონ „კომუნისტებმა“ რომელნიც საერთოთ მოკლებულნი არიან ლოღიკურ მსჯელობას. მაგრამ, როცა ამას იმეორებს „საქართველო“, რომელმაც კარგათ იცის აზრი და მნიშვნელობა ამ ბანკეტების, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ის განზრახ იღებს ბოლშევიკების უგუნურების სალაროდან დემაგოგიურ საბუთებს...

„საქართველოში მომავალ ევროპიელ სოციალისტებს კი ჩვენ ისე შევხვდებით, როგორც ყველა კეთილ სტუმარს, ჩვენში კეთილი აზრებითა და სურვილებით ჩამოსულს. არც მეტი, არც ნაკლები“.

თუ თქვენი წერილი კეთილი სტუმრობის ნიშანია, არა კეთილი სტუმრობა თქვენი რაღა იქნება?

* * *

„კომუნისტი“ ჯირითობს.

ჩვენ მოვაგონეთ მას ლოზუნგი, რომლის აქტუალობამ თვით ბოლშევიკებსაც კი მისცა გამარჯვება და რომლის დავიწყება და უარყოფა მათ დაასამარებს. და იგი შემდგარა ყალბზე:

„სტყუიან, ურცხვათ სტყუიან „ერთობის“ პუბლიცისტები. არც ერთ წელიწადს, არც ერთ დღეს მათ ლოზუნგი აქტუალურ სამოქმედო ლოზუნგათ არ ქონიათ“. (კომ. № 40).

მკითხველმა იცის, რომ ერთობელები 1919 წლიდან ომის წინააღმდეგნი იყვნენ, რომ საქართველოს მაშინ, ამიერ-კავკასიის ს.-დემოკრატიული ორგანიზაციები სწორეთ ზავის მოთხოვნილებას აყენებდენ. იცის ისიც, რომ იმავე მენშევიკებმა თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებშივე წამოაყენეს არა იმპერიალისტების წინაშე დაჩოქება, არამედ „ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ, ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე“. იცის, რომ ასეთ ზავისთვის იბრძოდენ იგინი და არა სხვა რაიმე მიზნისთვის. მაგრამ მაინც ჯირითობს თავის მკითხველების გულუბრყვილობაზე. სომხეთის ომსაც კი გვადებს ჩვენ ბრალათ. რატომ ზავი არ შეკარითო. განა პირველ მოთხოვნისთანავე არ შევკარით ზავი. სწორეთ იმ მომენტში, როცა ჩვენი იარაღი გამარჯვებული იყო? განა ჩვენ არ დავამტკიცეთ, იმათ, რომ თავდამსხმელს ვანანებთ, მაგრამ გამარჯვებით არ ვთვრებით და არ გვინდა ზედმეტი სისხლის ღვრა?

„ზავის“ ლოზუნგი ბოლშევიკებმა გააღრმავეს, ვთქვით ჩვენ. ესე იგი უკეთესი „ზავის“ დაპირებით მოინადირეს ჯარის გული. და დღეს რომ ზავის ნაცვლად მუდმივი ომი მიაწოდეთ, ნუ თუ გგონიათ, კმაყოფილი არიან ამ სისხლის ღვრით რუსეთის გლეხები და მუშები?

ბოლშევიკებმა ზავის ლოზუნგი გაიგეს ოქტომბერშივე, როგორც ერთი მხარის განიარაღება და მეორესთვის ხელის გახსნა. ამით მათ მიიღეს ჯერ ბრესტი, შემდეგ 3 წლის ომები, რომელსაც დასასრული არ უჩანს.

ახლაც თუ სურთ ასეთი ცალმხრივი განიარაღება, მათი ნებაა. ვინ უშლით, აჰყარონ იარაღი თავის ჯარს. მაგრამ ჩვენ გვალაპარაკებს ინტერესი რუსეთის დემოკრატიის, მისი მშრომელი ხალხის. ერთხელ მოტყუებული, ის მეორეთ არ უნდა მოსტყუვდეს.

ამიტომ ჩვენ ვამბობთ, ევროპის ხმალი უნდა შეაჩეროს ევროპის მუშათა კლასმა. ეს მისი წმინდა მოვალეობაა. ამისთვის ის კიდეც იბრძვის.

რუსეთის ხმალი (თუნდ წითელ არმიელის) უნდა შეაჩეროს რუსეთის მუშებმა და გლეხებმა. ეს არის სამაგიერო მოვალეობა რუსეთის მუშათა კლასის. „კომუნისტებმა“ სთქვან ახდილათ, გარკვეულათ, აპირებს იგი ასეთ განიარაღებას, თუ ყოველ გამარჯვების მოპოვების შემდეგ კვლავ გაიჭრება ევროპის ასაღებად, რომ ამით ახალ ახალი ომები შექმნას, და სისხლის ახალი ზღვები დაღვაროს? აი ეს გახლავთ სადავო საკითხი, და ლანძღვით მას გვერდს ვერ აუვლით.

საქართველო ინგლისურ პრესაში *)

წერილი ლონდონიდან.

II

ცუდათ მოფიქრებული მეთოდები.

იმის მაგივრად, რომ გაემხნევებიათ უცხო კაპიტალი ამ გაკოტრებულ ქვეყანაში, რომელიც დაჯილდოვებულია დიდი პოტენციალურ სიმდიდრით. იმის მაგივრად, რომ მიემართათ მისი დახმარებისათვის,—პრინციპები და პერსონალი, რომელიც დაცულია დასავლეთ ევროპაში კარგი მთავრობების მიერ,—ამის მაგივრად უცხოელები გაპივრებულნი არიან და ხვდებიან ერთა ნამდვილ თამაშს. კანონები და განკარგულებანი სასწრაფოდ შედის ძალაში ძველებური ეფექტით და შეიცავენ ახალ გადასახადებს და შევიწროებებს. ამგვარად, ვაჭარი, რომელსაც შეუძლია მოაწყოს საქონლის გამოზიდვა, უნდა ექნეს სამართლიანი მოგება მთავრობის ყოვლად ცნობილ გადასახადების გასტუმრების შემდეგ, ნახულობს, რომ ახალი გადასახადის გადაუხდელად, რომელიც დადებულია კანონმდებლობის ძველებური ეფექტით და დამტკიცებულია საქმეთა ასრულების თანდათანობით, შეუძლია დიდ ზარალში ჩავარდეს, არავითარი ნამდვილი ცდა არ მოხდარა იმის გულისთვის, რომ გაწმენდილი სამოქალაქო სამსახური ან მიღებით სარგებლობა გამოზრდილ და გამოცდილ უცხოელების დახმარებით, გარდა რამოდენიმე ბნელ გერმანელისა. სამოქალაქო სამსახურში იმყოფებიან უნიცა, ნაწილობრივ განვითარებული ადამიანები, რომელთაც ისე მცირე ჯამაგირი ეძლევათ, რომ გათახსირება მეტობს მათი ცხოვრების საჭიროების დაკმაყოფილების მთავარ წყაროებში. ბრიტანელების მიერ ბათომის და მისი პროვინციის თერთმეტი თვის ოკუპაციის განმავლობაში, წესრიგი და პატიოსნება მართავდა ყველგან სამოქალაქო მმართველობაში, რომელნიც შედგენილი იყო სხვა და სხვა ეროვნების პირებისაგან, და რომელთაც კონტროლს უწევდენ ბრიტანელები. ყველას მათ მოსთხოვეს არ ჩარეულიყვნენ საქმეებში იმ წუთიდან, როგორც კი პროვინცია გადაეცა რესპუბლიკას, იმიტომ, რომ მათ ადგილას დაეყენებიათ უდარდელი, მცირე ჯამაგირებში და მექრთამე ქართველები. ბრიტანეთის მთავრობისა და საქართველოს მინისტრების წარმომადგენელთა შორის ეხლახან შემდგარ კონფერენციაზე, ბრიტანელებმა მოიყვანეს მაგალითი მაგალითზე აშკარა მექრთამეობის და ფულის დატყუებისა. ბრიტანელებს, რომელთაც ნაყიდი ქონდათ საჭიროების საქონელი, მაგალითად, თამბაქო, მანამ, სანამ საქართველოს რესპუბლიკა დაარსდებოდა და გადახდილიც ქონდათ ყველა საჭირო გადასახადი, რომელიც მაშინ მოითხოვებოდა,—მოსთხოვეს ეხლა გადაიხადონ ყველა გადასახადი, დაწესებული მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკა გაჩნდა და ზოგიერთ შემთხვევაში მოსთხოვეს ამასთანავე გადასცენ მთავრობას 50 პროცენტი იმ საქონლისა, რომლის გატანის ნება მათ უკვე ქონდათ, მაგრამ რომელიც ვერ გაზიდეს და დარჩათ საქართველოში დარდანელის დახურვის გამო.

არავითარი ტარიფის მიღება არ შეიძლება, მაგრამ სხვადასხვა დეპარტამენტის მიერ არის დაწესებული გაუსაზღვრელი გადასახადი იმ მოთხოვნილებასთან ერთად, რომ ფული უნდა გადაეხადოს დეპარტამენტს, მაგრამ ჩეკი კი უნდა იყოს აღნიშნული კერძო პირის სახელზე.

კომერციული უპატიოსნება შეერთებული სახელმწიფოს გახრწნასთან ღუპავს ყველა ერს, რომელიც არ უნდა იყოს იგი. სიმართლის დაფარვა სამსახურს არ გაუწევს საქართველოს ხალხს, რომელსაც მოელის ბრწყინვალე მომავალი, თუ მან მოაწყო წესრიგი შინ

საუკეთესო რეფორმა იქნებოდა, რომ ბათომი მოწყობილიყო ბრიტანეთის ადმინისტრაციის მსგავსათ, რომელიც უზრუნველყოფდა კარგ მთავრობას და სამართლიან განწყობილებას ყველა ერთან, რომელიც ამ ნავთსადგურით სარგებლობს. ბათომი არის კავკასიის კარები და როგორც თავისუფალი ნავთსადგური რესპუბლიკაში, იგი იქნებოდა წყარო დიდი შემოსავლისა გაღარიბებულ სახელმწიფოსათვის და მოდელი, რომლის მიხედვით უნდა გადაიქმნას შინაური ადმინისტრაცია. დაგვრჩენია გავითვალისწინოთ, რომ გასულ თვეებში ბრიტანეთის ოკუპაციის დროს მისი ვაჭრობა ათჯერ გაიზარდა, და როგორ დაეცემა იგი საქართველოს მართველობის და გამგეობის ქვეშ, რომელმაც თან მოიტანა თავისი სისუსტის დაგვიანების და მექრთამეობის სტანდარტი, რომლის საშინელი მაგალითია თფილისი. ქართველები კარგს იზამდენ, თუ თვალს მიაპყრობდენ სომხეთის საზღვარს, სადაც ყველაფერი მიემართება მთავრობის გაუკეთესებულ მექანიზმისაკენ, რკინის გზების შენებისაკენ, და მდიდარი ქვეყნის გაღონიერებისაკენ ევროპიელი ხელმძღვანელების და კაპიტალის შემწეობით, რომელთაც იქ ყოველგვარი გარანტია და ყოველგვარი პატივისცემა აქვთ. სომხეთში თავს იყრიან არა მარტო სომხები საზღვარგარეთიდან, არა მარტო რამოდენიმე ევროპიელი საქმის კაცი და ტეხნიკოს-მრჩეველები, რომ ასწიონ ქვეყნის მრეწველობა.

სომხეთის ახალი წარმოებანი.

ელექტრონის რკინის გზა შავი ზღვის ნავთსადგურიდან ყარსამდე, ალაგეზზე, ჯულფაზე, თავრიზზე, შესრულებული იქნება მომავალ ექვსი წლის განმავლობაში ევროპიული დ სომხური კაპიტალის მიერ. ხაზი გაივლის მდიდარ ქვანახშირიან და მარილიან ადგილებზე, და გადასჭრის მთელ ნაყოფიერ ზონას; იგი შეამოკლებს გზას სპარსეთამდე 250 ვერსით და შეიქნება სერიოზული მეტოქე საქართველოს რკინის გზებისა, რომელიც დღემდე არის ამიერ-კავკასიიდან და შავი ზღვიდან სომხეთამდე და სპარსეთამდე ერთად-ერთი მისაღწევი საშუალება. უკანასკნელ იანვრის შემდეგ 30.000 სომეხზე მეტმა, რომელნიც ეკუთვნოდენ მუშათა კლასს, გაიარა ბათომზე სამშობლოში დასაბრუნებლად; ზედმეტია რიცხვის მოხსენება, რომელსაც მდიდრები ეკუთვნოდენ. ქართველების პოლიტიკით არავინ არ არის მოხიბლული გარდა რუს ლტოლვილებისა, რომელთაც მთავრობა ალბათ სიხარულით მოიშორებდა.

დრონი მიქრიან. ცხადზეუცხადესია, რომ თუ სკანდალი, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ სამსახურთან, გაგრძელდა და კომერციას ასპარეზი არ მიეცა, რესპუბლიკა უნდა დაბოლოვდეს დამხობით და დამოუკიდებელი ხალხის იმედები — განაცარმტვერდეს. ზარმაცობამ და ფლანგვამ ადგილი უნდა დაუთმოს მრეწველობას და ეკონომიას, მთავრობის ყოველნაირი ფორმა, დემოკრატიული იქნება იგი თუ მონარქიული, ტირანიას წააგავს, თუ იგი მოკლებულია სამართლიანობას.

საქართველოსთვის რჩება: ან უშველოს თავის თავს, ან აიგოს ანდერძი და ეს განაჩენი იქნება მისი თავისუფლების დაკარგვა, მისი ხალხის გლატაკება და უცხოთა მართველობის სივაგლახე“.

ასეთი საბედისწერო წინასწარმეტყველებით ასრულებს თავის წერილს „დეილი ტელეგრაფის“ კორესპოდენტი.

თქვენი არ ვიცით, მკითხველო, და როდესაც ჩვენ ეს წერილი წავიკითხეთ, ზოგიერთი რამ თვალში მოგვხვდა: კორესპოდენტს ქრთამის ბრალდებაში ვერ გავამტყუნებთ, თუმცა შესაძლებელია მისი შავი ლაქები გადაჭარბებულია. დანარჩენ კრიტიკაში კი, კორესპოდენტი იჩენს უცოდინარობას და განზრახ ტენდენციას, რომელიც მას პირველ დღე წერილშივე დასჩემდა.

გერმანელების და ისიც ბნელ გერმანელების მიერ საქართველოს პოლიტიკაში თუ ხელმძღვანელობას არა, ხელის ფათურს მაინც იგი აქაც იმეორებს.

ასეთი ცნობა ამ წერილში რამოდენიმე არის მოყვანილი და მკითხველი მას ადვილათ და კარგათ შეამჩნევდა. ჩვენ გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ ერთი გარემოება და დავუკავშიროთ იგი „ტაიმს“-ში დაბეჭდილ და იქ გამოთქმულ ერთ აზრს.

ჩვენ ზემოთ აღვიშნეთ „ტაიმსში“ მოყვანილ ღია წერილის ავტორის გულისტკივილი ბათომისა და მისი პროვინციის შესახებ,—კერძოთ კი ბათუმ-ყარსის რკინის გზის კონცესიის შესახებ. ამ კონცესიის შესახებ ინგლისურ პრესაში რამდენჯერმე იყო ცნობა. ჩვენ არ ვიცით—მართლა არსებობს ბათუმ-ყარსის რკინის გზის კონცესია, თუ არა; ჩვენ არ ვიცით, ვინ გასცა ეს კონცესია და ვინ აიღო თავის თავზე მისი განხორციელება. მაგრამ „ტაიმსში“ მოთავსებულ წერილის ავტორი პირდაპირ უთითებს ამ გვარ კონცესიაზე და ამასთანავე დასძენს, რომ სომხეთისათვის ბათომ-ყარსის რკინის გზა სასიცოცხლო აუცილებლობა არისო.

ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ამ წერილის ავტორი. ჩვენ არ ვიცით რა უფლება აქვს და ვინ მისცა ნება ვიღაც ბეჩნოფერს ილაპარაკოს ბათომის მცხოვრებთა სახელით სადამდის მიდის კადნიერება!) ერთი მხრივ და სომხეთის სახელით მეორეს მხრივ. ეს უკანასკნელი შესაძლებელია; ბევრი ვექილი ყავთ მათ აქ, მაგრამ რამდენათაც ჩვენ ვიცით, ბათომის ოლქის მცხოვრებთ ვიღაც ბეჩნოფერისთვის არ მიუნდვიათ თავისი ბედი და მისი დაცვის უფლება. მაშ რა ნება აქვს მას განაცხადოს რაიმე ბათომის ოლქის მცხოვრებთა სახელით? რაშია საქმე?!

„დეილი ტელეგრაფის“ კორესპოდენტი ასე აგვიწერს ამ ამბავს: ბათომის გზით დაბრუნდა სამშობლოში ნახევარი მილიონი სომეხი, ცხადია ჩვენ უნდა დავასკვნათ, ეს გზა სომხეთისათვის მეტათ საჭიროა,—მეორე ადგილას კი კორესპოდენტი შემდეგს მოგვითხრობს: „ელექტრონის რკინის გზა **შავი ზღვის ნავთსადგურიდან** ყარსამდე და სხ. შესრულებული იქნება მომავალ 6 წლის განმავლობაში ევროპიულ და სომხურ კაპიტალის მიერ.“ ცხადია, რომ აქ ავტორი განგებ არ ასახელებს შავი ზღვის ნავთსადგურის პორტს, მაგრამ პარალელს თუ გავიყვანთ „ტაიმსის“ წერილთან, ცხადი იქნება ყველაფერი. და ცხადი კი ის არის, რომ ბათომის გარშემო ინტრიგები კვლავ გრძელდება. დავანებოთ თავი იმას, რომ „დეილი ტელეგრაფის“ კორესპოდენციაში მოსჩანს აშკარა მიკერძოება და მიდგომა სომხებისადმი, განგებ ლურჯი სათვალებით შინჯავს მას,—მაგრამ დეე, იყოს დღევანდელი სომხეთი,—ჩვენ ეს არ გვაწყინება, პირიქით, ეს სასიამოვნოა, მაგრამ დეე, დაგვანებონ თავი ჭორების ჭაობში საქართველოს ამოთრევას და ლანძღვას. საღი და მიუდგომელი კრიტიკა, საქმიანი კრიტიკა საქართველოს არ ეწყინება, მხოლოდ ჭორი და ცილისწამება კი დაუშვებელია რიგიანი კორესპოდენტის მიერ. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტათ რჩება და საქართველოს მართებს საგარეო ინტერესების წინააღმდეგ სათანადო ზომები მიიღოს და სამუდამოთ ჯავრი დ-უსვას უსაფუძვლო პრეტენზიებს.

მტკიცე და მიზანშეწონილი პოლიტი-

დღეს

ბოლშევიკების ცნობით პოლონეთის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება.

იტალიის ცნობით პოლონეთის ჯარმა შეტევა შეაჩერა.

იტალიაში მიწის ძვრისაგან დაინგრა რამდენიმე სოფელი. დახოცილია 300 კაცი.

კა შიგნით, და გარეთ—საქართველოს გამარჯვების საწინდარია,—ამას გვიკარნახებს საქართველოს მდგომარეობა და აქეთაც უნდა იყოს მიმართული საქართველოს სახელმწიფოებრივი საქმე.

ვიქტორ. ნოზაძე.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

„ერთი წვეთი რძე“. „შეუძლო დედებს და უსუსურ ბავშვებს ამ დაწესებულებამ ძალიან უნდა შეუმსუბუქოს მდგომარეობა, მაგრამ ნამდვილათ ეს ასე არ არის. არ ვიცი რა ხდება ამ დაწესებულების სხვა განყოფილებებში, მაგრამ კულიკოვის ქ. № 12, სადაც მე მოვხვდი, საშინელება ვნახე: ყვირილი ხმაურობა და დედების უკმაყოფილება ბავშვების კნავილი, სივიწროვე, მძიმე ჰაერი და სხ. გამოვკითხე და აღმოჩნდა, რომ ბევრი დედა დაწესებულ ყოველდღიურ კერძის—ერთი გირვანქა პურის მაგიერ ღებულობენ მხოლოდ კვირაში 3 გირვანქას. ბავშვებისთვის კარგი რძის მაგიერ ეძლევათ ცუდი, დამჟავებული რძე. ერთმა დედამ მიამბო, რომ ის ხშირათ ბრუნდება აქედან დღლილ-დაქანცული, მშიერი, დამშეული ბავშვით ხელში. ამას გარდა, აქ შეხვდებით ბევრ ავათმყოფს, არ არის აცილებული ჯანსაღ ბავშვებზე ავადმყოფობის გადადება, ყველა ბავშვებს სწონავენ ერთ სასწორზე, რომელსაც წინასწარ არ უშვრებიან დეზინფექციას. სადღაა სანიტარული ზედამხედველობა? სადღაა პროლეტარული კონტროლი, სადღაა ბოლოს და ბოლოს მუშა პროლეტარი დედის თვალი და ხმა? **ლ. ეიტნიკოვა.** (ხარკოვის „პროლეტ.“ № 66).

„უდარნაია გრუპის მუშების“ ქება. ხარკოვის საბჭოთა მე 2 სტამბაში მუშაობს 200 კაცი. ესენი, როგორც ეგრედ წოდებულ „უდარნაია გრუპა“-ზე მითვლილნი მეტს ღებულობენ, ვიდრე სხვა მუშები. ამათ აქამდე სულ მიუღიათ მთელი ქარხნის ყველა მუშებისთვის 11 წყვილი ფეხსაცმელი, უმთავრესათ ქალებისა და ბავშვებისა, 10 კომპლექტი სამუშაო ტანისამოსი, 3 პლაში, სულ 29 არშინი, წინსაფარებისთვის, 13 კომპლექტი საცვალი, თითო 7 არშინი, 8 ცალი კოჭის ძაფი და 2 წყვილი ხელთათმანი, ცოტაოდენი მიიღეს კიდევ ამ საგნებიდან, რომელიც ბურჟუაზიას წაართვეს. ივნისის განმავლობაში მუშებმა მიიღეს $3^{1}/_{2}$ გირ. ხორცი. პურს ღებულობენ გირვანქას სულზე და ნახევარ-ნახევარ გირვანქას ოჯახის წევრებზე. პური ცომი და მოუხელავი, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს მუშათა შორის. მუშები კითხულობენ, რატომ ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს მუშათა ინსპექცია? (ხარკ. „პროლეტარი“ № 65).

პურის დარიგების შეწყვეტა. ხარკოვის „პროლეტარი“-ს № 66-ში სწერია: „მუშები სჩივიან, რომ პურს წესიერათ არ აძლევენ. იყო შემთხვევები, როცა 2 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში პურს არ აძლევდენ მუშებს“. შემდეგ სწერია, რომ თამბაქოს მე 4 სახელმწიფო ქარხნის მუშებს პურს ურიგებენ იქვე კი არა, არამედ—შორეულ რაიონში, საიდანაც ხელით უხდებათ პურის მოტანა.

დეზერტირობასთან ბრძოლა. სმოლენსკის გუბ. სოფ. კანკიჩში დეზერტირობა ძალიან გახშირდა. ამის გამო დაადგინეს: სოფელი გაყონ რამდენიმე ნაწილათ, ისე, რომ თითო ნაწილში 5 კომლი შედიოდეს. თითო ნაწილის უფროსი პასუხს აგებს, თუ მის ნაწილში დეზერტირები აღმოჩნდა. (ხარ. „პროლეტარი“ № 66).

სამუშაო დღის გადიდება. ცარიცინი. სატრანსპორტო მუშებს 2 საათით გაუდიდეს სამუშაო დღე. („კომ.“ №103)

ბავშვთა დაცვის კვირა. ბავშვების მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლათ ხარკოვში აწყობენ „ბავშვთა დაცვის კვირას“. („კომ.“ № 193)

კომუნისტები და ანარქისტები. ხარკოვის მუშა ქალთა დელეგატთა კრებაზე რაკოვსკიმ განაცხადა: „ჩვენი აზრით ანარქისტები მუშათა კლასის მტრებია, რადგან ისინი უარყოფენ სოციალისტურ სახელმწიფოს მნიშვნელობას და ამით თვითონ მხარს უჭერენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. („კომ.“ № 143)

თევზი პურის მაგიერ. მოსკოვის „იზვესტია“-ს № 179 ში გამოცხადებულია: „რადგან პურის დარიგება დროებით შესწყდა და ბოსტნეული აღარ რიგდება „დაჯავშნულ კერძზე“ გადაყვანილ ქარხნების მუშებს დღეში თითო გირვანქა თევზს მისცემენ სულზე.

ამას არ უნდა ჰქონდეს ადგილი! „სახალხო საჩაიებთან“ № 1 (როზა ლიუქსემბურგის მოედანსა და სავაჭრო ქუჩის კუთხეში) მუდამ დგას დიდი რიგები ხან იმატომ, რომ არ არის „პრომპუსკები“, ხან „ჩაინიკების“ სიმცირის გამო, ხან იმატომ, რომ ყველა მიისწრაფის დროზე დალიოს ჩაი, რადგანაც საღამოს 9 საათზე საჩაიე უკვე იხურება. ნაშუადღევის სამის ნახევრიდან ოთხ საათამდის საჩაიე აგრეთვე დახურულია (ამ დროს სადილობენ საჩაიეს მოსამსახურენი). თუ წინათ ზოგიერთებს მოჰქონდათ თავისი ჩაინიკი მდუღარე წყლის სახლში წასაღებათ, ეხლა ადმინისტრაციამ გასცა ბრძანება ამის მოსპობის შესახებ. კითხვა იბადება: თუ როგორ უნდა იქნეს მოსპობილი ამ რიგების მიზეზები? ნუ თუ არ შეიძლება ცხელი წყალი ხალხს მთელი დღე შეუწყვეტლივ ეძლეოდეს, და ამასთანავე, არა 9 საათამდე, არამედ 11 საათამდე? ნუ თუ ქალაქში ცოტა არის უსაქმოთ მოხეტიალე ხალხი, რომლებიც შეიძლება ამუშაოთ, როგორც საჩაიეს მოსამსახურეების რეზერვი? დაბოლოს, რითი აიხსნება ცხელი წყლის სახლში წაღების აკრძალვა? ის პირნი, რომელთაც არა აქვთ თვით სამოვარი და ნახშირი სამოვრისათვის—ხომ მცხოვრებთა ღარიბ ნაწილს წარმოადგენენ. ცხელი წყალი ეხლა მით უფრო საჭიროა, რომ შესაძლებელია ხოლერის გაჩენა და ჩვენ ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ყველა ბინაში ჰქონდეთ ცხელი წყალი. **მუშა ალ. ეიტნიკოვი.** (ხარკ. „პროლეტარი“ № 61)

„წითელ“ ადერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

„ეს თავიდან უნდა ავიცილოთ“. ამ სათაურით „კრასნი ვოინ“-ის № 182-ში წითელარმიელი ვ. ჩ. სწერს: „ჩვენ ყაზარმებში არ არის სინათლე. მრავალ ჯერ მივართვით ამის შესახებ პატაკი მაგრამ არაფერი გამოვიდა“... ამას გარდა: „ოპროდ კომარმ“-მა „ოტსნაბ“-იდან ჩვენთვის მიიღო ფეხსაცმელი და საცვლები, მაგრამ წითელარმიელები მაინც ფეხშიშვლები დადიან. ეს იმიტომ, რომ ვიღასაც ხელი აფერხებს ტანისამოსის დარიგებას.

თავისუფალი ვაჭრობა. „კრასნი ვოინ„-ის № 183-ში წითელარმიელი ა. ხ. სწერს: „ბაზარზე ბევრი რამ არის, მაგრამ მათთან მიკარებაც კი არ შეიძლება. ჩვენ ან უნდა მოვსპოთ თავისუფალი ვაჭრობა ან დაინიხროს პირველსაჭიროების საგნები“.

„ინტერნაციონალის“ შესრულება კონცერტებზე. „კრასნი ვოინ“ ის № 179-ში არშაკ სარქისოვი აღშფოთებას გამოსთქვამს, რომ კონცერტებზე „ინტერნაციონალ“-ის შესრულებისდროს მუშათა კლუბში დამსწრენი სეირნობენ და ყურადღებას არ აქცევენ მუსიკას, იმის მაგიერ, რომ ქუდი მოიხადონ, ან სამხედრო პატივი სცენ ქუდზე ხელის მიდებით.

წერა-კითხვის სწავლას გაურბიან. ბაქოს კომუნისტური გაზეთის ცნობებით წითელარმიელები გაურბიან წერა-კითხვის სწავლებას. „პოლიტუპრავლენია“-მ ბრძანება გამოსცა იმის შესახებ, რომ წითელარმიელები მოვალენი არიან ისწავლონ წერა-კითხვა. „კრასნი ვოინ“-ის № 169 ში სხვილი შავი ასოებით სწერია: „ვინც წერა-კითხვის სწავლას გაურბის, ის დეზერტირია“.

მორიგი ჭორი. „კრასნი ვოინ“-ის № 166-ში სწერია: საქართველოში მუშაობიდან ითხოვენ და პროფეს. კავშირიდან სდევნიან იმ მუშებს, რომლებიც კომუნისტურ პარტიაში ეწერებიან.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

10 სექტემბერი.

ფრანგული ცნობები

ხელოვნურ ნაწარმოებთა გატანა.

ხელოვნურ ნაწარმოებთა გატანის შესახებ ოფიციალური კანონი გამოქვეყნდა. მუხლი 1. სახალხო განათლების და ხელოვნების მინისტრის ნებადაურთველად სახელმწიფოს ფარგლებიდან აკრძალულია იმ საგნების გატანა, რომლებსაც ეროვნული, ისტორიული ან მხატვრული მნიშვნელობა აქვთ. მინისტრს, ექსპორტიორის თხოვნაზე პასუხის გასაცემად, ერთი თვის ვადა ეძლევა. ეს განკარგულება ეხება 1830 წლამდე გაკეთებულ ავეჯეულობას, იმ მხატვრების, მოქანდაკეების და სხვათა ნაწარმოებსაც, რომლებიც გამოცემულ კანონის 20 წლის წინეთ გარდაიცვალენ, კანონი ეხება აგრეთვე მიწაში აღმოჩენილ ძველ ნაშთებსაც (დამახინჯებულია) მუხლი 2. საზღვარ გარეთ გასატანი აკრძალული საგნები, თანახმად 1913 წლის დეკემბრის 31 მე-§ 16 ძალისა, ცალკე სიაში იქნება შეტანილი (დამახინჯებულია) მუხლი 3. საფრანგეთის მთავრობას ეძლევა უფლება მიისაკუთროს, ან გადასცეს რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციას, საზღვარ-გარეთ გასატანი ნივთები იმ ფასებში, რომელსაც დანიშნული ექსპორტიორები დააწესებენ.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

10 სექტემბერი.

ოსმალეთი და იტალია

სტამბოლი. სექ. 1. „ორიენტ-ნიუსი“ იუწყება: ოსმალეთსა და იტალიის შორის დიპლომატიური დამოკიდებულება აღდგენილია. რომში ოსმალეთის ელჩად ნურედინ ფერერ ბეი დაინიშნა.

ნავთის მრეწველობა.

ვაშინგტონი. აგვ. 28. ვაშინგტონის პრესამ გამოაქვეყნა სენატორ პელანის მოხსენება ნავთის ბაზრის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ინგლის-საფრანგეთის ნავთის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების აქციათა ორი მესამედი შეიძინა ინგლისის მთავრობამ. სენატორი პელენი აღნიშნავს, რომ ამგვარად ინგლისს ნავთის ბაზრის დაპყრობაში ხელი უნდა შეუშალოთ.

პროფესიონალური მოძრაობა.

— რადეკმა პროფესიონალურ კავშირების შესახებ საგანგებო მოხსენება შეადგინა. თანახმად მოხსენებისა გერმანიაში ომის დაწყებამდე პროფესიონალურ კავშირებში 2 მილ. წევრი ყოფილა, ამ ჟამად კი ირიცხება 8 მილ. ინგლისში ომამდე 4 მილ. ახლა $6^{1}/_{2}$ მილ. საფრანგეთში პროფესიონალურ კავშირებში ომამდე 400.000 წევრი ირიცხებოდა, ახლა ორი მილიონი, იტალიაში ომამდე 450.000, ახლა 2 მილ., შეერთებულ შტატებში ამ ჟამად პროფესიონალურ კავშირებში 4 მილ. წევრი ითვლება. ამიტომ, ამბობს რადეკი, გაუგებარია ზოგიერთ კომუნისტის უარყოფითი დამოკიდებულება პროფესიონალურ კავშირებთან. თავის მოხსენებაში რადეკს მოყავს ცნობები თუ რა ჯდება ცხოვრება ინგლისში, გერმანიაში და ამერიკაში. გერმანიაში ოთხ წევრისაგან შემდგარ ოჯახს თვეში საცხოვრებლად 16,000 მარკა სჭირდება, შეერთებულ შტატებში კი არა ნაკლებ 2,500 დოლარისა. ამრიგად, ევროპა მძიმე კრიზისს განიცდის.

კამენევის მიმართვა.

მოსკოვი. სექტ. 8. (რადიო) კამენევმა მიმართა ლოიდ ჯორჯს შეკითხვით: საფრანგეთის მიერ ვრანგელის მთავრობის ცნობის შემდეგ როგორი დამოკიდებულება გაქვთ მასთან და ან ინგლისი საჭიროდ სცნობს თუ არა მიიღოს ღონისძიებანი ინგლისსა და რუსეთს შორის მეგობრულ დამოკიდებულების დასამყარებლად? ინგლისმა ფაქტიურათ შეუმსუბუქა მდგომარეობა ვრანგელს და ხელი შეუშალა მის საწინააღმდეგო მოქმედებაში საბჭოთა მთავრობასო. ამის საპასუხოდ ლოიდ ჯორჯმა გარკვევით განაცხადა. ინგლისის მთავრობის სურვილია დაუყონებლივ შეწყდეს აღმოსავლეთ ევროპაში სამტრო მოქმედებები და ჯარების 3 რადი უზრუნველყოფა (გამოტოვებულია) ინგლისი სრულებითაც არ ცდილობს რუსეთს წაართვას ყირიმი და იგი ვრანგელს გადასცეს.

კონცესიები.

სევასტოპოლი. 8 სექ. (რადიო) ინგლისის ცენტრალურ სავაჭრო პალატას მოუვიდა სია იმ კონცესიათა, რომელსაც ბოლშევიკები უცხოელებს აძლევენ. კონცესიები ეხება სახელმწიფო მეურნეობის ყოველ დარგს. საბჭოთა მთავრობა იძლევა კონცესიებს დასამუშავებლად (გამოტოვებულია) გზების, ტრამვაის, წყალსადენების, მხოლოდ ერთი პირობის ასრულებით. (გაგრძელება არ მიგვიღია).

საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი, 10 სექტემბ. პოლონეთის ფრონტზე—გროდნოს რაიონში სწარმოებს ბრძოლები. ნოვი დვორის აღმოსავლეთით და კუზნიცის ჩრდილოეთით. ბელოვეჟის პუშჩის რაიონში ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიში ბელოვეცზე. ბრესტლიტოვსკის რაიონში ჩვენი ჯარის ნაწილები ბრძოლას აწარმოებენ სადგურ ჟაბინკას რაიონში. ვლადიმირო-ვოლინის რაიონში ჩვენ არ ვაძლევთ მტერს საშუალებას მდინარე ჩრდილო ბუგს გადავიდეს. როგატინის რაიონში ჩვენმა ჯარებმა დაამარცხეს მტერი საგრძნობლათ დააზარალეს და წამოიყვანეს 150 ტყვე და ტყვიისმფრქვევლები. ყირიმის ფრონტზე—ორეხოვის რაიონში დაიწყო მედგარი ბრძოლები, რესპ. რევვოენსოვეტის საველე შტ. ვოენკომი—დანაშევსკი.

საბჭოთა ჯარების განიარაღება აღმოსავლეთ პრუსიაში.

მოსკოვი, 10 სექტ. საბჭოთა რუსეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ბერლინში ამხ. კოპმა მიჰმართა გერმანიის მთავრობას პროტესტით იმის წინააღმდეგ, რომ საბჭოთა ჯარები, რომლებიც აღმოსავლეთ პრუსიაში საზღვარს გადავიდნენ, სამხედრო მოქმედებათა მსვლელობის გამო განაიარაღა რა გერმანიის მთავრობამ, როგორც ეს უნდა მომხდარიყო გერმანიის ნეიტრალიტეტის პირობების თანახმად, არამედ განაიარაღა მოკავშირეების კომისიამ, რადგანაც ამ კომისიაში შედიან იმ სახელმწიფოების წარმომადგენელნი, რომელნიც პირდაპირ შველიან პოლონეთს, ამიტომ კომისიის მოქმედება წარმოადგენს თვით გერმანიის ნეიტრალიტეტის დარღვევას. მოაქცევს რა გერმანიის მთავრობის ყურადღებას მომხდარ ფაქტზე,—ამხ. კოპი თხოულობს, რომ მიღებულ იქნას ზომები, რათა არ განმეორდეს შემდეგში მოკავშირეთა კომისიის ჩარევა რუსის ჯარების განიარაღების საქმეში. მეორე ნოტაში ამხ. კოპი აცხადებს, რომ გერმანულ გაზეთების ცნობით რუსის ჯარების განიარაღება მოხდა პოლონეთის ჯარების შემწეობით, რომლებმაც დასტოვეს გერმანიის ტერიტორია, როცა მოათავეს განიარაღების საქმე. ამხ. კოპი თხოულობს, რომ გამოძიებულ იქნას ეს ამბავი და სურს გაიგოს, რა ზომები მიიღო გერმანიის მთავრობამ, რომ მიიღოს დაკმაყოფილება პოლონეთიდან პოლონეთის ჯარების მიერ გერმანიის ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო და აგრეთვე მას სურს გაიგოს, როგორ აპირებს გერმანია მომავალში ამგვარ შემთხვევებისაგან თავის დაღწევას.

ნახშირის „ვოსკრესნიკი“

ლუგანსკი. უკრაინის მშრომელმა არმიამ დანიშნა მთელი დონის „ვოსკრესნიკი“ რომლის განმავლობაშიაც აპირებენ დონის ბასეინის მაღაროებში 200 ათასი ფუთი ქვანახშირის ამოთხრას, მაღაროების მუშებს შრომის არმია აძლევს თავის „ზაპასიდან“ 30 ვაგონ პურს.

დავიწყოთ მძიმე მუშაობა.

მოსკოვი. 10 სექ. „პრავდას“ მოწინავეში სწერია: „სამხედრო ფრონტთან ერთად ჩვენ გვაქვს არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ფრონტი—სასურსათო ფრონტი. სასურსათო კომპანია და ყველა საჭირო ძალთა ორგანიზაცია იმისათვის უნდა დადგეს პირველ რიგში. მთელი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციული აპარატმა უნდა მოიკრიფოს მთელი ძალღონე, რადგანაც იმისაგან, თუ როგორ დასრულდება სასურსათო კომპანია—დამოკიდებულია, რესპუბლიკის მდგომარეობა მთელი წლის განმავლობაში. უნდა გადავლახოთ რათაც კი დაგვიჯდეს ყოველივე დაბრკოლებანი. პურის მოკრების საქმის გარეშემო უნდა შემოვკრიბოთ დამშეული გლეხი და მუშა. უნდა გავაძლიეროთ ჩვენი აგიტაცია სოფელში, უნდა განვაგრძოთ „გლეხის კვირა“. უნდა დავაგროვოთ დიდი. რიცხვი ვაგონებისა და ორთქლმავლებისა ხორბლის გადასაზიდათ. უნდა დაწვრილებით აუხსნათ გლეხებს, რომ ისინი კვლავ დაიდგამენ თავის კისერზე მემამულის უღელს, თუ არ მისცემენ პურს მუშებს. მუშებმა უნდა გაგზავნონ დიდძალი ხალხი სოფლად სამუშაოთ, რათა მრავალ ათას მშრომელთა შეთანხმებული შრომით არ დაახოცვინონ შიმშილისაგან ქალაქის მუშები და გლეხები“.

იტალიის ცნობები

რომი. 1 სექ. საგარეო საქ. მინისტრმა სფორცამ მიიღო იაპონიის ახალი ელჩი ოგაი.

ლონდონი. სექ. 9. „დეილი ექსპრესი“ იუწყება კონსტანტინოპოლიდან: საბერძნეთის ტრანსპორტები როდოსიდან გავიდენ, გაიარეს ბოსფორი და შავ ზღვაში შევიდნენ. ტრანსპორტზე მოთავსებულია საბერძნეთის მთელი დივიზია.

ლიონი. საფრანგეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა პარიზში ლორდ მარტინგის ელჩად დანიშვნაზე.

— ვარშავიდან იუწყებიან პოლონეთის ჯარის შეტევის შეჩერების შესახებ. ჯარი კიურზონის ხაზზე გამაგრდა.

— სეისმიურმა სადგურმა აღნიშნა ტოსკანში ძლიერი მიწის ძვრა. მიწის ძვრამ დაანგრია რამდენიმე სოფელი.

— საბჭოთა მთავრობამ პასუხი გასცა ინგლისის უკანასკნელ ნოტას, სადაც აღნიშნავს, რომ პოლონეთის მიმართ წარმოდგენილი პირობები არ შეიცვლებაო.

პარიზი. ბერლინიდან იუწყებიან: პრეზიდენტი ებერტი გადადგომას აპირებსო, ამ განცხადებას მიიღებენ უთუოდ და ახალ პრეზიდენტს აირჩევენო.

რომი. სექტ. 9. აველინის მახლობლად მიწა იძრა. მეფემ ინახულა მიწის ძვრისაგან დაზარალებული ადგილები. გლეხები და მუშები მეფეს ოვაციებით შეხვდენ. მეფე დაინტერესდა მათი მდგომარეობით და მიუხედავათ საფრთხისა, შედიოდა სახლებში ზარალის გამოსარკვევად. გაზეთ „ეპოხას“ ცნობით მიწის ძვრამ 300 კაცი იმსხვერპლა. სამხედრო სამინისტრომ და წით. ჯვ. საზ. დაზარალებულთ სურსათი და ფული გაუგზავნა.

ევროპის სოც. დელეგაცია საქართველოში

ცენტრალური კომისია ბათომის ადგილობრივ კომისიაში თავის წარმომადგენლად აგზავნის დამფ. კრ. წევრს გ. ფაღავას.

— —

საქართველოს დაშნაკცუტიუნის პარტიის ცენ. კომ. ბათომს გზავნის სპეციალურ კომისიას დელეგაციის შესახ-

ჟენევის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი*)

3. ომიანობის პასუხისმგებლობის საკითხი.

ორივ ურთიერთ დაჯახებულ კოალიციის ომში სოციალისტების მიერ მონაწილეობის მიღება იყო ინტერნაციონალის დაშლის მიზეზი.

ომის დროს დაგროვილი უნდობლობა, გაბოროტება, ინტერესების შელახვა—ინტერნაციონალის აღდგენის მთავარ დაბრკოლებად გადაიქცა. მაშინ ანტანტის სოციალისტები არ შეურიგდებოდენ ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოების სოციალისტებს,—მათთან ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა ინტერნაციონალში. და საჭირო იყო, არა ფორმალური შერიგება, არამედ—უნდა გვეგვოთ ერთიმეორის საჭიროებანი; საჭირო იყო იმ პირთა შორის, რომლებიც სულ რამდენიმე ხნის წინად იარაღით ხელში იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, აღდგენილიყო ღრმა შინაგანი შეგნება იმ ფაქტისა, რომ ისინი არიან საერთო დროშის ქვეშ მებრძოლნი.

ეს არ იყო ადვილი საქმე.

მართალია, რა წამს გათავდა ომი, იტალიის და ინგლისის სოციალისტები გულითადად შეხვდენ ცენტრალურ სახელმწიფოების სოციალისტებს. აგრეთვე მალე აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის და ბელგიის სოციალისტები სრულიადაც არ არიან გაბოროტებულნი ავსტრალიის სოციალისტების წინააღმდეგ, მაგრამ მით უფრო მწვავედ დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს შეთანხმება ერთის მხრივ ფრანგებსა და ბელგიელების და მეორეს მხრივ გერმანელებს შორის.

საკითხის ამ გვარ დანაწილებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ნაციონალურ ხასიათის მატერიალურმა მოტივებმა.

ინგლისს არ გამოუცდია მტრის შემოსევა და ოკუპაცია, ისე, როგორც ბელგიას. იტალიას არ დაესხა თავს მტერი, როგორც საფრანგეთს—და ამიტომ იტალიელებსა და ინგლისელებს შორის ომმა ვერ დასტოვა ღრმა, ფსიქოლოგიური კვალი, ისეთი, როგორც ფრანგებს და ბელგიელებს შორის.

მეორე მხრით ავსტრიელ სოციალისტების შესახებ საკითხმა დაჰკარგა თავისი სიმწვავე ავსტრო-უნგრეთის დაშლის გამო.

მაგრამ დამარცხებული გერმანია—მაინც მნიშვნელოვანი ძალაა, ევროპის პოლიტიკურ ცხოვრების მძლავრი ფაქტორია. გერმანიის სოციალ დემოკრატია ომის შემდეგ არა თუ დასუსტებული აღმოჩნდა ის, პირიქით, უფრო გაძლიერდა, და ისეთი ძლიერი გახდა, როგორიც არასოდეს არ ყოფილა; ის—გადაიქცა გოგენცოლერნების მონარქიის ნანგრევებზე აღორძინებულ რესპუბლიკის მმართველ პარტიათ. ამ პარტიისათვის ანგარიშის გაწევა აუცილებელია. იმის გამორიცხვა ინტერნაციონალიდან, რომელიც ეხლა უნდა განახლდეს—დანიშნავდა თვით ამ ინტერნაციონალის იდეის სათავეშივე ჩაკვლას. მაგრამ ინტერნაციონალის იდეა აგრეთვე იქნებოდა განწირული, თუ მის რიგებში აღმოჩნდებოდნენ პარტიები, რომელთაც არ ექნებოდათ ურთიერთის ნდობა და მტრული დამოკიდებულება ექნებოდათ მაგრამ ინტერნაციონალის კონგრესისათვის მოსამზადებელ მუშობის დროს—საკითხი უფრო ვიწრო ფარგლებში დაისვა.

ფრანგები და ბელგიელები მალე შეურიგდნენ გერმანელ „დამოუკიდებლებს“ რომლებიც, როგორც ცნობილია, აწარმოებდნენ ენერგიულ ბრძოლას ვილჰელმ მეორის მთავრობის წინააღმდეგ, და რომლებმაც ამა მთავრობის დამხობის შემდეგ გამოაცხადეს, რომ მთელი ომის პასუხისმგებლობა აწევება გერმანიას და გერმანიის სოციალ-დემოკრატიას. მაგრამ უფრო ძნელი იყო საფრანგეთის და ბელგიის სოციალისტებისათვის გერმანიის „უმრავლესობა“ („მაჟორიტარულთა“) შეიდემანის პარტიასთან დამოკიდებულების განახლება.

ეს გამოირკვა წინასწარ კონფერენციებზე (ბაზელი, ამსტერდამი, ლუცერნი) სწორედ ამ კონფერენციებმა დააჩენეს ჟენევის კონგრესის დღის წეს-რიგში ომის პასუხისმგებლობის საკითხი.

ლოღიკურათ ეს იყო პირველი საკითხი. ამ საკითხის ასე თუ ისე გადაუწყვეტლად შეუძლებელი გახდებოდა მუშაობის გაგრძელება ინტერნაციონალის მთლიანობის აღსადგენათ.

ომის პასუხისმგებლობის საკითხზე იმსჯელა ყველა მნიშვნელოვანმა პარტიამ, რომელიც კი წარმოდგენილი იყო კონგრესზე. ამიტომ ყველა დელეგატებს უკვე შემუშავებული ჰქონდათ აზრი ამ საკითხზე.

ინგლისელებმა პირველ კერძო თათბირზევე განაცხადეს, რომ პასუხისმგებლობის საკითხის მხოლოდ წამოყენებაც დამღუპველია ინტერნაციონალის მთლიანობისთვის: „ომის განმავლობაში შეცდომები ყველა პარტიამ დაუშვა. ეხლა დრო არაა დანაშაულების საძებლათ.“ ინგლისელებმა წინადადება შემოიტანეს მოეხსნათ პასუხისმგებლობის საკითხი.

ნეიტრალ ქვეყნების სოციალისტები გარეგნული თანხმობით შეხვდენ ინგლისელების წინადადებას. არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ამ წინადადებისათვის რომ კენჭი ეყარათ, მას უმრავლესობა დაუჭერდა მხარს. მაგრამ ამ წინადადების დასაცავათ არც ერთი ნეიტრალურ ქვეყნის სოციალისტმა არ ილაპარაკა,—ყველა უცდიდა თუ რას იტყოდენ თვით დაინტერესებული ჯგუფები—ფრანგები, ბელგიელები და გერმანელები.

მაგრამ საფრანგეთის დელეგაციამ („გაერთიანებულ პარტიის“ ჩამოშორებული მემარცხენე ფრთა) და ბელგიელებმა განაცხადეს, რომ, თუ კონგრესი არ გაჰკიცხავს იმ პოლიტიკას, რომელსაც გერმანიის სოც.-დემოკრატები აწარმოვებდენ ომის წინ და ომის დროს,—მათთვის შეუძლებელი იქნება ურთიერთობის აღდგენა შეიდემანის პარტიასთან.

ჯერი გერმანელებზე მიდგა. მათ პოზიციაზე იყო დამოკიდებული, თუ რა მიმართულებას მიიღებდა კონგრესის მუშაობა. და ყველამ საგრძნობლათ თავისუფლათ ამოისუნთქა, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკის კომისიაში გერმანიის სოც.-დემოკრატების წარმომადგენელმა დ—რმა ადოლფ ბრაუნმა განაცხადა, რომ გერმანელები თანახმა არიან ფრანგ და ბელგიელ ამხანაგებთან ერთად იმსჯელონ ომის პასუხისმგებლობის საკითხზე და ამ მსჯელობის დროს გულახდილათ აღიარონ თავისი შეცდომები.

ამნაირათ კონგრესის დღის წეს-რიგში დაისვეს ომის პასუხისმგებლობის საკითხი ფრანგების, ბელგიელების და გერმანელების წინასწარ შეთანხმებით.

საკითხი განიხილეს კომისიაში, მაგრამ გერმანელებმა თავიდანვე მთელი კონგრესის წინაშე გამოააშკარავეს თავისი პოზიცია, როდესაც კონგრესს წარუდგინეს დაბეჭდილი მოხსენება ომის პასუხისმგებლობის საკითხზე.

ამ მოხსენებამ ყველა ვერ დააკმაყოფილა და რამდენადმე გააღიზიანა კიდევაც ანტანტის სოციალისტები. მაგრამ ამ ბრწყინვალეთ და ძლიერათ დაწერილ მოხსენებაში იყო ისეთი მომენტები, რომლებმაც გააადვილეს კონგრესის და მისი კომისიის მუშაობა.

ასე მაგალითად, გერმანიის სოც.-დემოკრატიამ თავის მოხსენებაში აღიარა, რომ თუ ერთად ერთი არა, ყოველ შემთხვევაში, მთავარი მიზეზი ომისა იყო ის, რომ უკვე დამხობილ გერმანიის და ავსტრიის მთავრობებმა არ გამოიჩინეს სიმშვიდე და კეთილსინდისიერება.

ამასთან ერთად პარტიამ აღიარა, რომ ომის წინ ის საკმაოდ ენერგიულად არ ებრძოდა გერმანიაში მაშინ არსებულ მდგომარეობას, რის გამოც გერმანიის საგარეო პოლიტიკა რეიხსტაგის კონტროლს ქვეშ აღარ იყო. გერმანელების მიერ თავისი შეცდომების აღიარებასვე მოასწავებდა რამდენადმე მოხსენების შემდეგი სტრიქონებიც:

„მილიტარიზმის და პანგერმანიზმის ბოლოს მომღებმა გერმანიის რევოლუციამ დაიგვიანა 5 წლით, მთელი ქვეყნის და ყველაზე უწინ გერმანიის ხალხის საუბედუროთ. რატომ ადრევე არ იყო გაწმენდილი გზა ამ რევოლუციისთვის? აი შეცდომა, რომელშიაც ჩვენი დანაშაული უნდა ვაღიაროთ გერმანიის სოც.-დემოკრატებმა“...

ეს იყო გერმანელების მხრით დათმობა. მაგრამ ამან მაინც ვერ დააკმაყოფილა საფრანგეთ ბელგიის სოციალისტები. კომისიის მუშაობა დაიწყეს ისეთ ატმოსფერაში, რომელიც მოგვაგონებდა ერთი მეორის მოწინააღმდეგე კოალიციების სოციალისტთა შეხვედრას 1919 წ. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა დ—რ ადოლფ ბრაუნის გამოსვლის შემდეგ.

მან გააკეთა სამი განცხადება, რომლებმაც ყველა დამსწრეებზე და კერძოთ ფრანგებზე და ბელგიელებზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

ეს განცხადებები ასეთია კომისიის რეზოლიუციის გადმოცემით:

1) როგორც ეს თავის დროზე იყო აღნიშნული, მარქსისა და ენგელსის მიერ, ბისმარკის გერმანიამ საშინელი საფრთხე შექმნა საყოველთაო ზავისთვის იმით, რომ 1871 წ. ძალით შემოიერთა ელზას-ლორენი. ახალ გერმანიისთვის ელზას-ლორენის საკითხი აღარ არსებობს.

2) გერმანიის იმპერატორმა ახალი დანაშაული ჩაიდინა საერთაშორისო უფლების წინაშე 1914 წ., როცა ბელგიის ნეიტრალიტეტი დაარღვია და საშინელის სიმკაცრით მოეპყრო დაპყრობილ ოლქების მცხოვრებთ.

3) რესპუბლიკანური გერმანია მოვალეთ სთვლის თავის თავს აღადგინოს ყველა ის, რაც გაანადგურა სამხედრო მოქმედებით გერმანიის იმპერატორმა, რომელმაც უარჰყო წინადადება არბიტრაჟის შესახებ, რაც შესაძლებელი იყო ომის დაწყების წინ“.

ეს განცხადებები იმდენათ გაბედული და მოულოდნელი იყო, რომ პირველ ხანს ეჭვიც კი დაებადათ იმაში: ესენი მთელს გერმანიის სოციალდემოკრატიის აზრს გამოხატავენ, თუ პირადი შეხედულება იყო ადოლფ ბრაუნის, რომელიც პირველ დღეებში თავისი პარტიის ერთად ერთი დელეგატი იყო.

ბრაუნის განცხადებებს უნდა ამოეწურა ზარალის ანაზღაურების და გერმანიის ახალი რევანშის საკითხი.

ეს იქნებოდა ათასჯერ უფრო სწორი, ვიდრე წინა წლების საპარლამენტო ტაქტიკა სამხედრო საკითხის ხმის მიცემის საკითხში. ფრანგებმა მაშინვე აღიარეს, რომ გერმანიის დელეგატების აღიარება მნიშვნელოვანია.

ინგლისელებმა სახეში მიიღეს შეთანხმების შესაძლებლობა და წამოაყენეს ისეთი რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავდა, რომ ომის დროს ყველამ დაუშვა შეცდომა. ამ წინადადებამ ფრანგების და ბელგიელების სოციალისტების პროტესტი გამოიწვია. მაგრამ ბრაუნმა ისევ გაიზიარა თავისი მოწინააღმდეგების შეხედულება და განაცხადა:

— ჩვენ ისეთი რეზოლიუცია გვჭირია, რომელიც ხალხის მასას დააკმაყოფილებდა. მე სულით და გულით მადლობას ვწირავ ინგლისელ ამხანაგებს მათი წინადადებისთვის, რომელიც ინტერნაციონალურ სოლიდარობის სულით აღსავსეა მაგრამ ეს წინადადება არ დააკმაყოფილებს ჩვენ ფრანგ და ბელგიელ ამხანაგებს. პირიქით, ჩემი განცხადებები მათ აკმაყოფილებს. დე, კონგრესის რეზოლიუციაში შეტანილ იქმნას ეს განცხადებები!..

მე აღარ გადმოგცემთ იმ ბრძოლის დეტალებს, რომელიც ამ საკითხის გარშემო მოხდა კიდევ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მისი გადაწყვეტის პირვანდელი პროექტი რამდენადმე შეიცვალა შეიდემანის მეთაურობით გერმანიის დელეგაციის ჩამოსვლის შემდეგ.

კომისიის მიერ კონგრესისთვის წარდგენილი რეზოლიუციის საბოლოო ტექსტი შესდგებოდა 4 ნაწილისაგან.

პირველ ნაწილში მოყვანილია გერმანელთა მოხსენების შენიშვნა იმის შესახებ, რომ გერმანიის რევოლიუციამ ძალიან დაიგვიანა და გერმანიის სოციალ-დემოკრატია მწუხარებას გამოსთქვამს, რომ იგი უფრო მარჯვედ ვერ ებრძოდა იმპერიალისტურ პოლიტიკას *)

მეორე ნაწილი შეიცავს ზემოთ მოყვანილ გერმანიის დელეგატის სამ განცხადებას.

მესამე ნაწილში ლაპარაკია ომის ძირითად მიზეზებზე და დახასიათებულია გერმანიის და ავსტრიის მთავრობათა (გერმანელ დელეგატების მოხსენების სიტყვებით).

მეოთხე ნაწილი ასეთია.

კონგრესი ხალხთა საზიზღარ ჟლეტას, რომელმაც მთელი ევროპა სისხლით აავსო,—საჯაროთ კიცხავს.

იმეორებს სოციალისტების მტკიცე ნებისყოფას, ყველა ძალები მოახმარონ ომით დაშლილ ზავის აღდგენას და დღეიდან, თანახმათ ინტერნაციონალის იდეების და საქმეებისა, იბრძოლონ დამპყრობი გეგმების მქონე მთავრობათა წინააღმდეგ“.

ეს რეზოლიუცია კონგრესმა მიიღო უკამათოდ და ერთსულოვნად. მან გააერთიანა შეიდემანი, ვანდერველდე, გიუსმანსი და შტამფერი, მაკდონი და ბერნშტეინი.

თუმცა მიღებულ რეზოლიუციაში არ იყო არსებითად ახალი იდეები, თუმცა იგი სავსე იყო კომპრომისის სულით, მაგრამ კონგრესის ყველა მონაწილენი გრძნობდენ, რომ ომის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტით კონგრესმა ამ რეზოლიუციით დიდი ისტორიული საქმე გააკეთა,—მოიცილა ერთი დაბრკოლებათაგანი ინტერნაციონალის აღდგენის გზაზე.

ვლ. ვოიტინსკი.

---

*) იხ. „ერ.“ № 204.

*) რეზოლიუციის ეს ნაწილი მომყავს ზეპირათ, რადგან მისი საბოლოო ტექსტი ხელთ არა მაქვს. ვლ. ვ.

ვედრად. კომისიაში შედიან: კაზაზიანი, მაკარიანი და ნალჩაჯიშვილი.

პარტია გუმეტმა სთხოვა ცენტრალურ კომიტეტს დაუთმონ მათ კომისიაში ორი ადგილი.

ხელოვნებათა ცენტრმა, რომელშიაც შედის მწერალთა, მუსიკოსთა, მხატვართა და არტისტთა საზოგადოებები, აუწყა ცენტრალურ კომისიას, რომ სახელმწიფო თეატრში დელეგაციის პატივსაცემლად გამართულ იქნება ხელოვნების საღამო შემდეგი შინაარსით: 1) მისასალმებელი სიტყვა; 2) ოპერა „აბესალომ და ეთერის" მეორე მოქმედება; 3) დრამა „ღალატის" უკანასკნელი მოქმედება და 4) ცოცხალი სურათები.

ახალი ამბები

საფრანგეთის კომისარმა გრაფ დემარტელმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს 9 სექტემბერს ნოტით აცნობა, რომ საფრანგეთის კომისარის მოვალეობის ასრულებას კავკასიაში დროებით ის ანდობს საფრანგეთის კონსულს ბ. ნეტტენს.

ნახშირის დამზადება. მუშათა მაგიდა შეეკითხა ქუთაისის ერობას თუ რა პირობებში დაამზადებს ის ნახშირს და შეშას.

სპეკულიაციასთან ბრძოლა. თფილისის ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადო უფლებების მინიჭება მოსთხოვა სპეკულიაციასთან საბრძოლველად. ქალაქის თვითმართველობა დაპატიმრებისა და ადმინისტრატიულ წესით დასჯის უფლებას თხოულობს.

ფასების მომატება. მუშათა მაგიდამ მიმართა სასურსათო განყოფილებას განცხადებით, სადაც აღნიშნულია ბაზარზე სანოვაგეთა ფასების ზრდა. მუშათა მაგიდა ამის უმთავრეს მიზეზათ სთვლის ქალაქის აგენტთა უყურადღებობას და მუშათა მაგიდის კონტროლიორებისათვის ხელის შეუწყობლობას. მუშათა მაგიდა მოითხოვს სასურსათო განყოფილებისაგან შესცვალოს ახლანდელი აგენტები და ან დაავალოს მათ მიიღონ მკაცრი ზომები სპეკულიანტთა თარეშის ასალაგმავად.

პროფესიონალურ კავშირებში. კვირას, 12 სექტემბერს დილის 9 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროს.) შესდგება შეერთებული სასწრაფო სხდომა—ქალ. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ყველა კავშირების გამგეობათა, საქარხნო კომიტეტების წევრების, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის და რკინის გზელთა პროფ. კავშ. ცენტრალურ კომიტეტის. დღის წესრიგში—ხაკაზი დელეგატებს, რომლებიც მიდიან რუსეთში.

„ეშმაკის მათრახი". დღეს გამოვა „ეშმაკის მათრახის" მორიგი ნომერი. ქაღალდის და სხვა მასალის გაძვირების გამო ჟურნალი ღირება 50 მანეთი. გამყიდველებმა უნდა მოიკითხონ სახელმწიფო სტამბაში, ძოლოფუნის ქუჩა.

საგანგებო რაზმის წევრებმა, განინძიკოვის სახლში, დაიჭირეს დავით ლორთქიფანიძე, რომელსაც ივნისიდან დაეძებდნენ. ლორთქიფანიძეს ახალციხის და თფილისის ხაზინიდან ყალბი საბუთებით 907.850 მ. გატანის ბრალი ედება. თითქოს ასპინძის პოლკის საჭიროებისათვის. ლორთქიფანიძე დანაშაულში გამოტყდა. იგი ციხეში მოათავსეს. საქმე სასამართლოს გამომძიებელს გადაეცა.

მეორე რაიონული კოლექტივი თავის წევრთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ რაიონული კოლექტივის ბიურო ღიაა ყოველდღე (გარდა კვირა უქმეებისა) დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 ს.-მდე. რაიონული კოლექტივი მოუწოდებს თავის წევრთ შემოიტანონ მიმდინარე წლის საწევრო და დამატებით გადასახადი და მით ხელი შეუწყონ ორგანიზაციულ მუშაობას.

კრებები.

კვირას, 12 სექტემბერს, დილის 9 ს. შესდგება მე-7 რაიონულ კოლექტივის არაჩვეულებრივი სხდომა. უნდა დაესწრონ ნავთლუღში არსებული კავშირთა ს. დ. ფრაქციები და იაჩეიკების პრეზიდიუმები. რადგან ძრიად საჭირო კითხვები არის გასარჩევი ამიტომ ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ მოვიდნენ კრებაზე თავის დროზე.

— დღეს, სად. 7 საათზე, ვერის მუშათა კლუბის დარბაზში დანიშნულია ვერაზე არსებული სცენის მოყვარეთა სასწრაფო კრება. რადგანაც მეტად საყურადღებო კითხვებია განსახილველი, ამიტომ ყველას დასწრება აუცილებელია.

— დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება თფილისის ქალთა სოც.-დემ. ორგანიზაციის ბიუროს სხდომა მეორე რაიონის ბინაზე.

— დღეს, სად. 6 ს. ქალთა ორგანიზაციების პრეზიდიუმი იწვევს ქალთა კოლექტივების შეერთებულ კრებას. დღის წესრიგი: უცხო სტუმრების შეხვედრა. სავალდებულოა ყველა წევრების დასწრება.

— კვირას, 12 სექტ. დილის 10 ს. გამგეობის შენობაში შესდგება თფილისის ცენტრ. სოციალ. დახმარების რწმუნებულთა საბჭოს კრება.

პროვინციის ქრონიკა.

დუშეთის სამაზრო ერობის გამგეობა რესპუბლიკის ერობათა საყურადღებოთ აცხადებს: არაა სასურველი იქნას მიღებული სამსახურში ცენტრალურ სასტატისტიკო კომიტეტის სტატისტიკოსი ზიხელ კუზელი, რომელიც გამგეობის მიერ სრულ უმოქმედობის და უუნარობისათვის იქნა დათხოვნილი სამსახურიდან ა. წ. 28 აგვისტოდან.

„ეშმაკის მათრახი"

თითქმის ათი თვეა რაც „ეშმაკის მათრახი" გამოდის. ამ ხნის განმავლობაში რედაქცია არ ზოგავდა შრომას და ენერგიას, რომ ეს ერთად ერთი იუმორისტული ჟურნალი ღირსეულათ დაეყენებია. თუ რამდენათ შესძლო ეს—ამის მსაჯულია თვით მკითხველი საზოგადოება.

გარდა ჟურნალის შინაარსისა რედაქცია ყოველივე ზომებს ღებულობდა რომ ჟურნალი ფასის მხრივაც ხელმისაწვდომი ყოფილიყო ხელმოკლე მკითხველისათვის, ვის სამსახურსაც ჟურნალი განსაკუთრებულ მიზნად ისახავს. ამით აიხსნება, რომ მაშინაც კი, როცა მაგ. „გრუზია", „სლოვო" და სხვა დღიური გაზეთები ოცი მანეთი ღირდა, „ეშმაკის მათრახი"—თუთხმეტ მანეთად იყიდებოდა და ეს მაშინ, როცა ჟურნალს გარდა ქაღალდისა ძალიან ძვირად უჯდება კარიკატურები და სხვა მასალა, რომელიც ზედმეტია დღიური გაზეთისათვის.

ასე მიდიოდა საქმე დღევანდლ. დღეს კი მდგომარეობა მკაცრათ შეიცვალა. ქაღალდი და ჟურნალისათვის საჭირო სხვადასხვა მასალა წარმოუდგენლათ გაძვირდა. სიძვირე იმდენათ საგრძნობი გახდა, რომ რედაქციას გადაწყვეტილი ქონდა ჟურნალის შეჩერება უფრო ხელსაყრელ დრომდე, მაგრამ თანამგრძნობების რჩევით ხელი აიღო ამ განზრახვაზე და გულის ტკივილით დათანხმდა ჟურნალის განგრძობაზე გადიდებულ ფასებში.

ამ ნომრიდან ჩვენი ჟურნალი ღირება **50 მანეთი.** რედაქციამ იცის, რომ ასეთი დიდი ფასები ჟურნალის ტირაჟს მეტად შეამცირებს, მაგრამ მას იმედი აქვს, რომ მკითხველი წინანდებურათ თანაგრძნობით მოეპყრობა მას და თუ ის მინიმუმი მისი ტირაჟისა, რომელიც ამ ნომრიდან იწყება გაიზარდა, ეს მისცემს რედაქციას საშუალებას ფასები ისევ დასწიოს, რასაც ის დიდის სიხარულით და კმაყოფილებით შეასრულებს.

„ეშმაკის მათრახის" რედაქცია.

რკინის გზაზე

საქართველოს სახაზინო რკინისგზელთა კავშირის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც გახსნილ იქნა 9 სექტემბერს, გაეცნო რა სამტრედიაში ერთი ჯგუფის გამოსვლას, კავშირის რაიონული ორგანიზაციის წინააღმდეგ და მთელი ორგანიზაციის და მისი ხელმძღვანელის ბოროტმოქმედათ აღიარებას საზოგადო კრებაზედ, აღნიშნავს, რომ ასეთი გამოსვლები ორგანიზაციის წინააღმდეგ, არღვევს რა კავშირის წესდებას და მის მთლიანობას, ქმნის ანარქიას, აშორებს მასას ორგანიზაციას და მუშათა კლასის შეკავშირება-გათვითცნობიერების საქმეს ძირს უთხრის. კონფერენციას სწამს, რომ თუ რაიმე ადგილი ქონდა ორგანიზაციაში მომუშავე რომელიმე წევრის უტაქტიკობას და რაიმე ბოროტმოქმედებას, კავშირის ყველა წევრს საშუალება ექნებოდა ეს ორგანიზაციული გზით გამოერკვია. მაგრამ სამტრედიის ჯგუფის მოქმედება ამ შემთხვევაში არ იყო გულწრფელი და საერთო საქმის სიყვარულით გამოწვეული; კონფერენცია სასტიკათ გმობს რა სამტრედიაში გაფიცვის გამომწვევ და ხელმძღვანელ პირთა მოქმედებას, ცენტრალური გამგეობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ამ ჯგუფის წინააღმდეგ აღიარებს მიზან-შეწონილათ კავშირის მთლიანობის და მისი ორგანოების მომავლი ნაყოფიერი მუშაობისთვის.

კონფერენცია ერთხელ კიდევ საჭიროთ აღიარებს შემდეგშიაც იქნას მიღებული რადიკალური ზომები ყველა იმ უპასუხისმგებლო პირთა წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი ანარქიული გამოსვლებით ხელს უშლიან მთლიან ორგანიზაციულ მუშაობას და ამით საფრთხეში აყენებენ მთელი რესპუბლიკის მუშათა კლასის მდგომარეობას.

თავმჯდომარე **ნ. ხურციანი**
მდივანი **მ. ჭყონია.**

პროფესიონალურ კავშირებში

ხაზურს აღმასრულებელ კომიტეტში.

7 სექტემბრის სხდომა.

მუშათა დელეგაციის საკითხის შემდეგ კომიტეტმა განიხილა საკითხი წინანდლის მამულის გამგის რამიშვილის შესახებ. **ა. ხელაძე** აცნობს კრებას წარსულ კრების დადგენილებას, სადაც მიღებული იყო, მოლაპარაკება გაემართათ მიწათ მოქმედების სამინისტროს წარმომადგენლებთან, რათა მას რამიშვილი ჩამოეშორებია წინანდლის მუშებისათვის. მიწად მოქმედების მინისტრის განცხადებით რამიშვილი ახლო მომავალში გადაყვანილ იქნება ხსენებულ მამულიდან ჩაქვის მამულში. კამათის დროს გამოირკვა, რომ ხსენებულ რამიშვილს კომიტეტის დადგენილების შემდეგ კიდევ ხელით შეურაცხყოფა მიუყენებია ერთი მუშისათვის. კომიტეტის ზოგიერთი წევრები აღნიშნავენ მის პატიოსან მუშაობას, მაგრამ მუშების უდიერათ მოპყრობისათვის მოითხოვენ უწყებიდან მის ჩამოშორებას. მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი მ. ახალაძე არ უარჰყოფს მის სიფიცხეს, მაგრამ მისი აზრით, ვინაიდან, ძალიან ძნელი საშოვარია მამულის ასეთი პატიოსანი დამცველი, როგორც რამიშვილია, სთხოვს კომიტეტს ნუ დაადგენს მის დათხოვნას, ხოლო რაც შეეხება წინანდლიდან ჩაქვში გადაყვანას ეს შესრულებული იქნებაო. მიღებულ იქნა: რამიშვილი ჩამოშორებულ იქნას უწყებიდან.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია სამტრედიის კონფლიქტის საკითხმა. მოხსენებას აკეთებს სხდომის თავმჯდომარე **ა. ხელაძე.** სამტრედიის რკ. გზის მუშებში არსებობს კონფლიქტი—ამბობს ის, რომელიც ძლიერ აბრკოლებდა საერთო მუშაობას. ჩვენ გვთხოვეს ჩავრეულიყავით ამ საქმეში და ჩვენი დადგენილება გამოგვეტანა. რკინის გზის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური კომიტეტი ბრალს სდებდა 4 მუშას წარმოებაში თუ კავშირის დისციპლინაში დეზორგანიზაციის შეტანას და დაუდგენია ამ 4 მუშის კავშირიდან და სამსახურიდან დათხოვნა და 4 მუშის სხვაგან გადაყვანა. ჩვენ წავედით და დავესწარით სამტრედიის რაიონულ კრებას. აქვე იყვენ ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელნიც, რომელთაც განაცხადეს, რომ შექმნილ პირობების გამო ცენტრალურ კომიტეტს დაუდგენია რაიონულ გამგეობის რეორგანიზაცია. სამტრედიის კრება უნდობლობას უცხადებდა რაიონულ გამგეობას, გადაყენებულათ აცხადებდა მას და მოითხოვდა დათხოვნილ მუშათა დაბრუნებას. დათხოვნილ ამხანაგებს ბრალი ედებოდათ რაიონულ კომიტეტის თავმჯდომარის კიკაბიძის წინააღმდეგ კომპანიის წარმოებაში. გამოირკვა, რომ კიკაბიძეს უყიდნია სიმინდი, წაუღია თფილისში და 26,000 მანეთი აუღია საკომისიო. კიკაბიძეს მუშები ბრალს სდებენ აგრეთვე იმაში, რომ თითქოს, ამ საკომისიო 26,000 მან. გარდა, მას ფუთზე 20 მანეთი მოუგია. ასეთი იყო კიკაბიძის წინააღმდეგ ბრალდება, მაგრამ როგორც შემდეგ გამოირკვა, საკომისიოს აღების უფლება მას ქონია იურიდიულად, ვინაიდან ეს მიღებული ყოფილა რკინის გზელთა ყრილობაზე. ჩვენი აზრით კი მას, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ამის უფლება არ ქონდა ზნეობრივათ. კიკაბიძეს სუფსაში 330 მანეთად უყიდნია სიმინდი და გაუყიდნია 350 მანეთად. ცენტრალურ კომიტეტს კი ქონია სუფსის ერობის თავმჯდომარისაგან მოწმობა, რომ ეს სიმინდი სხვას უყიდნია და არა კიკაბიძეს.

ასეთია საქმის მდგომარეობა მოკლეთ. დღეს აღმასრულებელ კომიტეტმა უნდა განიხილოს კავშირიდან დათხოვნილ ამხანაგების საკითხი. პრეზიდიუმის აზრით აუცილებელია შეგროვილ იქნას ამ ინციდენტის შესახებ ყოველგვარი მასალები და წარედგინოს აღმასრულებელ კომიტეტს, რის შემდეგ კომიტეტმა უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

რკინის გზის პროფ. კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ბერეჟიანის აზრით ხსენებულ ინციდენტის ისტორია შორიდან იწყება და აღმ. კომიტეტმა ამ ჯგუფის მოქმედების ისტორიას უნდა მიაქციოს ყურადღება. ამ ჯგუფის მოქმედების საკითხი დიდხანს იდგა რკინის გზის ცენტრალურ გამგეობის წინაშე. ის არავის ემორჩილებოდა, არც ადგილობრივ პარტიულ კომიტეტს, არც რაიონულ კომიტეტს. ცენტრალურ გამგეობამ შარშან გადასწყვიტა ამ 4 კაცის კავშირიდან დათხოვნა.

რამ აიძულა ცენტრალური გამგეობა ასეთი დადგენილება გამოეტანა? სამტრედიაში არსებობდა მუშათა კლუბი; ეს ჯგუფი კი არავის, გარდა რკინის გზებისა ნებას არ აძლევდა ამ კლუბით ესარგებლნა; ასე იყო ფურნის შესახებაც. ისინი ყოველ საკითხში სეპარატიულ მუშაობას აწარმოებდენ. როცა ის გაიძახის კლუბი ჩემია, ფურნე ჩემია და სხვა, არ შეიძლება ასეთი გამოსვლის უყურადღებოთ დატოვება. შარშან გამოძიების დროს დამტკიცდა, რომ ისინი სეპარატიულად მუშაობდნენ. ყველანი ამტკიცებდნენ, რომ თუ გინდათ მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს, ეს ჯგუფი მოაშორეთ სამტრედიის რკინის გზასო. როცა ეს საკითხი ცენტრალურ გამგეობაში იქნა გადატანილი, გამგეობამ დაადგინა მათი ჩამოშორება, ამისი უფლება მას ქონდა წესდების ძალით, მაგრამ შექმნილ პირობების გამო ეს დადგენილება ვერ გაატარეთ ცხოვრებაში. ეს დადგენილება დადგენილებათ დარჩა, მაგრამ ისინი მაინც აწარმოებდენ ადგილობრივად ბრძოლას პარტიულ კომიტეტის წინააღმდეგ. კითხვა ასე იდგა: ცენტრალურ კომიტეტმა მოითმინოს მათი მოქმედება თუ ისინი ჩამოშორებულ იქნას, რომ საქმე კარგათ დადგეს? ცენტრალური გამგეობა ფიქრობს, რომ დისციპლინის სიმტკიცისთვის აუცილებელია ამ ჯგუფის მოქმედებას ბოლო მოეღოს და ისინი განდევნილი იქნან კავშირიდან.

ჩვენ გვაქვს საბუთი, რომ სამტრედიის კომიტეტში ქურდობა არ ყოფილა, არამედ იყო პრეზიდიუმის უტაქტო მოქმედება.

თუ თქვენ აღიარებთ, რომ მათ გაფიცვა მოაწყვეს და თუ გაითვალისწინებთ მათ წარსულს, ისინი დათხოვნილი უნდა იქნენ და, მაშასადამე, ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საფუძვლიანია.

რკ. გ. ცენ. გამგეობას მეორე წარმომადგენელი კელენჯერიძე აცხადებს, მათი დათხოვნის საბუთი იყო ისიც, რომ მათ აშკარათ დაარღვიეს კავშირის წესდება. ეს გამოიხატებოდა შემდეგში: ერთი კვირის განმავლობაში ისინი აწყობდენ კრებებს რაიონულ კომიტეტის წინააღმდეგ. რაიონულ კომიტეტის გადასაყენებლათ საჭიროა, კომიტეტს უნდობლობა უცხადეს მისი ამრჩეველი. ისინი კი სექციების ნდობის მიუხედავათ მართავდენ მათ წინააღმდეგ გამოსვლებს. ამაში ჩვენ ვხედავდით წესდების დარღვევას.

გარდა ამისა, ისინი ვერ ასრულებენ თავის მოვალეობას. შრომის პირობებში აშკარად სწერია, რომ მემანქანე თვეში 200 საათს უნდა მუშაობდეს. ისინი კი 50—60—80 საათზე მეტს არ მუშაობდენ. ეს მასალები საკმარისი იყო, რომ ისინი დათხოვნილი ყოფილიყვნენ კავშირიდან. დათხოვნილ მუშების წარმომადგენელი შენგელია ამბობს: დანაშაული ჩაიდინა რაიონის კომიტეტის თავმჯდომარემ და მისმა წევრებმა წელს. ერთერთ რაიონულ კომიტეტის კრებაზე კითხვა დაისვა, რომ კომიტეტმა იყიდა სიმინდი, გაყიდა თფილისში და პროცენტები აიღოო. მე ეს საქმე გამოვიძიე სუფსაში და მართალი აღმოჩნდა. მე მაქვს შემოწმებული ქაღალდი სუფსის ერობის თავმჯდომარის ამხანაგისაგან, რომ კიკაბიძეს სუფსაში უყიდია სიმინდი 330 მანეთად, ხოლო თფილისში მან ეს სიმინდი 850 მანეთად გაყიდა. პარტიულმა „იაჩეიკამ" ეს დაუშვებლათ მიიჩნია, ვინაიდან ჯერ ერთი, რომ მან სიმინდი თფილისში წაიღო მაშინ, როდესაც სამტრედიაში შიმშილობა იყო და მეორეც, თფილისელ ამხანაგებს მეტი გადაახდევინა. კიკაბიძე დაიბარეს პარტიულ კრებაზე. მან განაცხადა რომ სიმინდის ყიდვა და პროცენტების აღება მდივანმაც იცოდა და გამგეობის ზოგიერთ წევრებმაცაო. პროცენტების შესახებ განაცხადა, რომ მან აიღო დაწესებული პროცენტები, ხოლო რამდენათ გაყიდა სიმინდი, ეს არ სთქვა—მიბრძანდით და თფილისში გაიგებთო. ჩვენ ეს საქმე გამოვიძიეთ რის შემდეგ მოწვეულ იქნა რაიონული კრება. უკანასკნელი ფაქტის წინაშე იდგა, რომ მან პროცენტები აიღო და ჯიბეში ჩაიდო, რომ სიმინდი იყიდა 330 მანეთად და გაყიდა 350 მანეთად. კრებამ სასურველად არ სცნო პარტიულ ამხანაგის მიერ პროცენტების აღება. მოწვეულ იქნა საზოგადო კრება, რომელმაც უნდობლობა გამოუცხადა გამგეობას და მოითხოვა მისი გადაყენება (კრებას დაესწრო 69 კაცი, მაგრამ ვინაიდან მესამეჯერ იყო მოწვეული, კანონიერათ იქნა აღიარებული). გამგეობა მაინც არ გადადგა. შემდეგ მოდის ცენტრალური გამგეობის გადაწყვეტილება, 4 კაცის დათხოვნისა და 4 გადაყვანის შესახებ. მან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში. მათ მოითხოვეს 2 საათის განმავლობაში განმარტება, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს, შემდეგ ჩვენ აუხსენით ხალხს, რომ ჩვენ ვეფიცებით არა მთავრობას, არამედ გამგეობას და მოუწოდეთ მუშაობას დაბრუნებოდენ. მუშები, გარდა ზეინკლებისა მაშინვე დაუბრუნდენ მუშაობას. ხოლო ზეინკლებმა დაადგინეს—ის დრო, რომელიც მათ გააცდინეს სახელმწიფოს აუნაზღაურონ და კიდეც შეასრულეს. ამის შემდეგ მოწვეული იქნა რაიონული ყრილობა, სადაც დადგენილ იქნა რაიონულ კომიტეტის გადაყენება და დათხოვნილების უკანვე მიღება. ამის შემდეგ მოხდა ის, რაზედაც თქვენ მოგახსენათ ამხ. ხელაძემ.

შრომის კომისარი ამხ. ელიბაქიანი ამბობს: ხსენებულ საკითხის შესახებ, ჩვენ სამტრედიაში გაგზავნილ კომისიის წევრებმა გამოვთქვით ჩვენი აზრი და შთაბეჭდილება. მაგრამ შეიძლება თუ არა დაბეჯითებით ითქვას, რომ საქმე თქვენთვის აღმასრულებელ კომიტეტის წევრებისათვის იმდენათ გამორკვეული იყოს, რომ თქვენ შეგეძლოთ საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანოთ, რომ შეგეძლოთ სთქვათ თქვენი უკანასკნელი სიტყვა. ჩემი აზრით—არა. ეს სერიოზული საკითხი შემდეგში მდგომარეობს: ერთი მხრივ რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალური კომიტეტი ბრალს დებს დათხოვნილ პირებს დეზორგანიზაციულ მუშაობაში თავის კერძო ინტერესების მუშათა ორგანიზაციების მთლიანათ აღებულის დაპირდაპირებით. დათხოვნილი მუშები თავიანთ თავს მსხვერპლათ სთვლიან, ისინი ამბობენ, რომ თითქოს ისინი დაითხოვეს. იმიტომ, რომ მათ ფარდა ახადეს რაიონულ კომიტეტის გამგეობისა და მისი თავმჯდომარის მოქმედებას. არ შეიძლება დაუშვათ, რომ ვინმემ მოგების მიზნით დაანგრიოს მუშათა ორგანიზაციების საფუძვლები, თავისი ინტერესები დაუპირდაპიროს მთელი კავშირის ინტერესებს, მაგრამ მეორე მხრივ ვერც იმას დავუშვებთ, რომ დაისაჯონ ისეთი ხალხი, რომელთაც სურთ სარგებლობა მოუტანონ საზოგადოებას, რომელნიც იბრძვიან ბოროტ-გამხრწნელთა წინააღმდეგ.

შეცდომების თავიდან ასაცილებლათ, აუცილებელია, რომ საქმე ყოველ მხრივ იყოს შესწავლილი, ამიტომ მე მხარს უჭერ წინადადებას სპეციალური კომისიის არჩევის შესახებ, რომელიც შეისწავლის ამ საკითხს და იტყვის თავის უკანასკნელ მიუდგომელ სიტყვას. აუცილებელია, რომ როგორც რკინის გზის ცენტრალურმა კომიტეტმა, ისე დათხოვნილ მოსამსახურეებმა წარუდგინონ აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებაში, ყველა მათ ხელში არსებული ფაქტიური მასალები.

რაც შეეხება შრომის სამინისტროს, ის არ დაუშვებს, რომ რომელიმე მუშათაგანი უდანაშაულოთ დაისაჯოს; ის თავის მხრივ მიიღებს ყოველგვარ აუცილებელ ზომებს დათხოვნილ მოსამსახურეთა დასაცავად, თუ უკანასკნელნი შესძლებენ დაამტკიცონ, რომ ისინი მართალი არიან.

დადგენილ იქნა: მიეცეს წინადადება რკინის გზის ცენტრალურ კომიტეტს, რაც შეიძლება დაჩქარებით შეაგროვოს ყოველ გვარი წერილობითი მასალები და წარმოადგინოს კომიტეტში.

არჩეულ იქნას 3 კაცისაგან შემდგარი საგამომძიებლო კომისია, რომელიც შეიმუშავებს საბუთებს და კომიტეტს წარმოუდგენს. კომისიაში არჩეულ იქნენ: ამხ. ა. ხელაძე, დობორჯგინიძე და კავკასიძე.

კიდევ ადელხანოვის სააქციონერო საზოგადოებაზე

„ერთობის" 169 ნომერში ამ საზოგადოების შესახებ მოთავსებული იყო ჩემი წერილი. წერილში სხვათა შორის ბრალსა ვსდებდი ამ საზოგადოების მესვეურებს, რომ მათ ეს უზარმაზარი საუკეთესოდ მოწყობილი, ფაბრიკა ქარხნული წარმოებას, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, დაუკარგეს წარმოების ღირსება და ხასიათი და სპეკულიაციის, საბოტაჟის და ბოროტების ასპარეზათ გადააქციეს.

ასეთ მოქმედებას სამართლიანათ ვუწოდე ღალატი სახელმწიფოსა და მუშების წინაშე.

„ერთობის" 190 ნომერში აღნიშნულ საზოგადოების გამგეობის სახელით ბ-ნი ა. ნ. მილოვი, ვითომ გაუგებრობის თავიდან ასაშორებლად, და ნამდვილად კი მთავარი სიტყვის ბანზე ასაგდებათ აცხადებს შემდეგს: „ერთობის" 169 ნომერში დ. ბუაჩიძე ბრალსა სდებს ადელხანოვის სააქციონერო საზოგადოებას, ვითომ უკანასკნელმა განგებ შეამოკლა ჩვენი წარმოება, და მის მოღვაწეობას ხსნის ისე, როგორც სახელმწიფო ღალატს. გამგეობა საჭიროდ სთვლის აცნობოს იმ პირთ, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ჩვენი საზოგადოების საქმეებით, რომ უკანასკნელ წლებში რომელ ხანაზედაც ლაპარაკობს ბ. ბუაჩიძე თავის წერილში, ყველა შეკვეთები (ზაკაზები) სამხედრო უწყებისა, სახალხო გვარდიისა და სხვა დაწესებულებებისა სრულდებოდა სწორეთ და დროზეო."

ამ წერილის ავტორი, ბ-ნი მილოვი რასაკვირველია, როგორც ვთქვი სიტყვას ბანზე ისვრის და სცდილობს ვისაც ჩემი წერილი არ წაუკითხავს შეცდომაში შეიყვანოს.

მე ჯერ ჯერობით არ მქონია ლაპარაკი იმაზე, თუ როგორი სიჩქარით ასრულებდა ფირმა სხვადასხვა დაწესებულებების შეკვეთებს. ეს არც ისე დიდათ საყურადღებო იქნებოდა, ვინაიდგან უკვე აღებული საქმის ჩაბარება, ასეთ დიდ ფირმაში, ხდება წინასწარ დაწერილი პირობის ძალით, რასაკვირველია, ხშირად თავისდაუნებურადაც.

ამ შემთხვევაში ამ დაუსმელ კითხვაზე პასუხი და დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ დიდი რიხით არაფერზე პასუხის გაცემა არის მთავარი საგნების გვერდის ახვევა. რაც შეეხება იმას, რომ ამ ფირმამ განგებ შეამოკლა წარმოება და თავის მიზნებისთვის ეწევა საბოტაჟს, მე საჭიროთ მიმაჩნია ჯერჯერობით მოვიყვანო ორი ფაქტი:

1. საკმაო იყო ერთი უბრალო მიზეზი ან ხმები: ქალაქში ნავთი, მაზუთი აღარ იშოვებაო, რომ ჩვენი „მწარმოებლები" მზათ იყვნენ ესარგებლათ მომენტით და შეეჩერებიათ წარმოების სწორედ ის დარგი, რომელიც მთავრობის საჭიროებაზე მუშაობდა, რასაკვირველია იმიტომ, რომ აქ სპეკულიაციის ფრთები ეგრე ადვილად არ გაიშლებოდა.

ამა წლის 17 მარტს სააქციონერო საზოგადოების გამგეობა კავშირს აცნობებს ოფიციალურად: „ვინაიდან მატყლზე მონოპოლია შემოიღეს და მომარაგების სამინისტროც არ იძლევა ტომრებში შეხვეულ მატყლს და სხვა მატყლის შოვნაც კი შეუძლებელია, გაცნობებთ, რომ ჩვენმა საზოგადოების გამგეობამ დაადგინა შესწყვიტოს ამ ფაბრიკაში მუშაობა და მოახდინოს ყველა მუშების ლიკვიდაცია, რიცხვით 70 კაცის".

ამდენი მუშების და მათი ოჯახების ულუკმაპუროთ გაშვება და ასეთი ფაბრიკის ლიკვიდაცია, ირგვლივ გაჩაღებული ფრონტების დროს, კავშირისთვის სიკვდილს უდრიდა და კავშირი ჩვეულებრივად აქაც ჩაერია საზოგადოების შინაურ საქმეებში და სასწრაფოდ გაგზავნა თავის წარმომადგენლები მომარაგების სამინისტროში, რათა სასწრაფოდ მიეცათ ფირმისთვის მატყლის შეძენის საშუალება უფლება. სამინისტროში მრავალი საბუთი აღმოჩნდა იმის, რომ ამ ფირმას დიდი ხანია მიღებული აქვს ეს უფლება და საშუალება, მაგრამ განგებ უნდოდათ თავი გაინთავისუფლონ ამ სპეკულიაციისთვის შეუფერებელ საქმისაგან, მიუხედავად იმისა, დაიღუპება ამით მუშები თუ სახელმწიფო.

2. აღნიშნული წარმოება ორი უმთავრესი დარგიდან შესდგებოდა. ერთი იყო მასალის, ე. ი. ქეჩის, თიფთიკის და ტყავის დამზადება, მეორე კი ამ მასალებიდან პირდაპირ სახმარი საქონლის დამზადება. პირველშიაც და მეორეშიაც საქმიანობა დიდი ნაყოფიერებით სწარმოებდა. „ახალმა მწარმოებლებმა", ან უკეთ რომ ვსთქვათ, დღევანდელი ბაზრის ფასების მესაჭეებმა, საქმე თავისებურათ მოაჭახრაკეს. მათ არ დაინტერესებიათ არც წარმოების სილამაზე, არც მუშები და არც ხალხის საჭიროება და ეს მეორე, უმთავრესი წარმოების დარგი, თითქმის მთლად მოსპეს და ამის მაგიერ თავისებურ ჩარჩოებში ჩამოყალიბებულ პირველ დარგს განუსაზღვრელი სპეკულიაციის ფრთები შეასხეს. რა თქმა უნდა, თბილისის თანამედროვე ვაჭრობა-მრეწველობის მამათმთავრებმა არ ესაჭიროებათ ქეჩიდან და ტყავიდან ტანსაცმელ-ფეხსაცმელების დამზადება და ამაზე ასეული მუშების დაბინავება და მათი ანგარიშების და ხარჯების თავის თავზე მიღება. ამიტომაც იყო, რომ შარშან სატარიფო პალატის მიერ მუშების ხელფასის და ფეხსაცმელებზე ფასების დაწესების შემდეგ, ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშებს გამოუცხადეს ენერგიული ლიკვიდაცია, თავის-შრიაც, ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ სალიკვიდაციო კომისიის მიერ საქმის ადგილობრივ გამოკვლევის შემდეგ, ბატონი მწარმოებლები სასტიკად დამარცხებული გამოვიდნენ და ერთი თვით უსაქმოდ განაწამებ მუშებს თავიანთი ადგილებიც დაუბრუნდათ და განაცდენი დღეების ფულებიც სრულათ აუნაზღაურდათ. მაგრამ ჩვენი ასეთი გამარჯვება არ გამოდგა ხანგრძლივი. ბატონებმა მწარმოებლებმა ისევ და ისევ საბოტაჟის საშუალებით შესძლეს, მალე დაეყენებინეთ საპირე ტყავის (ვითომ დაუზადებლობის გამო) უქონლობის ფაქტის წინ, რასაც შედეგათ მოყვა ამდენი მუშებისა და მათი ცოლშვილის ულუკმა-პუროთ დატოვება და ის, რომ თუ შარშან თფილისის ბაზარზე საკმაოზე მეტი იყო ადელხანოვის ნაწარმის ფერი საზაფხულო და შავი საზამთრო იაფ ფასიანი ფეხსაცმლები, წელს ასეთებს იშვიათად შეხვდებით.

ამის შემდეგ კიდევ გვისაყვედურებს აღნიშნულ საზოგადოების გამგეობა: „ვითომც ჩვენ წარმოება განგებ შევამოკლეთ და ამით სახელმწიფოს ღალატობთო". და კიდევ უპასუხებ, რომ ასეთი მოქმედება, ასეთი დიდი საქმის ასეთი მესვეურობა, შეგნებულად, ნამდვილად არის დასამარება წარმოებისა და გაღმერთება სპეკულიაციისა და აქედან კი ღალატი სახელმწიფოსა და მუშების წინაშე.

ჩვენ წარმოებას ვეტრფით. ჩვენ მასში ვხედავთ ქვეყნის წარმატებას. მუშათა კლასი სისხლით იცავს წარმოების აღორძინების პირობებს. კერძოთ ჩვენმა კავშირმა ბევრი დაუთმო მას; მთელი მისი სიმპატია და თანაგრძნობა წარმოების გაფართოვებისაკენ იყო და არის, მაგრამ არ იქნა და არ ეშველა, წარმოება ვერ ვიხილეთ. ჩვენი თანაგრძნობით მწარმოებლებმა მხოლოდ ბოროტად ისარგებლეს და ამის შემდეგ, წუხას უკაცრავად, თუ ამ საზოგადოებას გამგეობამ და მათმა „წარმოებამ" ჩვენი პროფესიონალური კავშირის თვალში დაჰკარგოს თავისი ნდობა და პატივისცემა და მწარმოებლების მაგიერათ უწოდოთ მათ სათანადო სახელი და მოვითხოვოთ ნამდვილი მწარმოებლები.

კავშირის მდივანი **დ. ბუაჩიძე.**

ფოსტა-ტელეგრაფი

მომავალი არჩევნები.

ამხანაგებო! ამ მოკლე ხანში უნდა გაიხსნას საქართველოს ფ.-ტ. და ტელეფონის მესამე ყრილობა. ამ ყრილობაზე შეიკრიბებიან ყველა კუთხიდან ამორჩეული ამხანაგები და გაარჩევენ მრავალ საჭირბოროტო საკითხებს. რა მართებთ ამ შემთხვევაში ამრჩევლებს და რა უნდა გაითვალისწინოთ?

თვითმპყრობელობის დანგრევის შემდეგ რევოლუციონურ ფერხულში ჩაება ჩვენი მუშა-მოსამსახურეებიც და როგორც სხვა დარგის მუშა-მოსამსახურენი თავიანთ საქმეებს აწყობდენ აღმასრულებელი კომიტეტებით. დღესაც ვესწრობით მესამე ფ.-ტ. და ტელეფონის ყრილობას და მისგან ახალ ცენტრალურ გამგეობის არჩევას.

მე არ შეუდგები იმის დეტალურათ აღწერას, თუ როგორ მუშაობდა არსებული ცენტრალური გამგეობა მოსამსახურეების საკეთილდღეოთ. ამას თქვენ კარგათ ხართ გაცნობილი. იგი არ არის ღირსი ქება-დიდების. მან, პირიქით, ბევრი დააკლო თავის ამომრჩევლებს უნაყოფო მუშაობით და ისე დააშორა ფ.-ტ. და ტელეფონის მოსამსახურეები სხვა დარგის მუშა მოსამსახურეებს ჩვენ რესპუბლიკაში, როგორც ცა დედამიწას. ცენტრალური გამგეობა, შეედრება იმ კომპასს, რომელსაც აბობოქრებულ ზღვაში ხმარობს კაპიტანი. იგი უნდა იყოს მთელი რაიონების შემაერთებელი, ზრუნავდეს მოსამსახურეების საკეთილდღეოთ და ჭირში და ლხინში მასთან იყოს.

ჩვენ კი ამას არ ვხედავდით. ყოველთვის დაქსაქსული გზით დავდიოდით და ვისაც რა მოესურვებოდა, იმას აკეთებდა, რასაც დიდი ზიანი მოჰქონდა არა თუ მოსამსახურეებისათვის, არამედ რესპუბლიკისათვისაც. ამიტომ—ფრთხილად! თქვენ მოგევლინებათ სხვადასხვა ნიღაბით ვითომდა გულშემატკივრები, დაგპირდებიან ოქროს მოგებას. მაშინ გაიხსენეთ წარსული წლის არჩევნები, მათი დაპირებები და ის შედეგი, რაც მივიღეთ მათი ერთი წლის ნამუშევარით.

ამხანაგებო! ემზადეთ არჩევნებისათვის. შეჯგუფდით იმ პარტიის დროშის ქვეშ, რომელმაც დაამტკიცა მთელ მუშათა კლასის წინაშე თავისი ღირსეული მუშაობა. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მუშათა ორგანიზაციები უნდა იყოს ამ პარტიის დროშის ქვეშ მდგომი, უწყობდეს მას ხელს კეთილი მომავლის შესაქმნელ მუშაობაში.

ამხანაგებო! ეს უნდა იყოს ჩვენი ლოზუნგი. ამაშია ჩვენი ხსნა და ფ.-ტ. და ტელეფონის მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობის გაუმჯობესობა.

ზაქ. ჟურული.

ს.-დ. პარტიაში

ბორჯომი. 1 სექტემბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის ბორჯომის რაიონის კომიტეტის სხდომა, რკინის გზის ორგანიზაციიდან მოხსენებას აკეთებს ი. ჩაჩუა, რომელიც აღნიშნავს, რომ უკვე მოხდა რკინის გზის პროფესიონალური კავშირის ახალი არჩევნები, მაგრამ მუშებში არის უკმაყოფილება რკინის გზის ქვე რაიონის 39 საისტატოვის ოსტატს და მუშებს შორის მომხდარ ინციდენტის შესახებ გამოტანილ დადგენილების გამო. რადგანაც რკინის გზის ოსტატს მუშები გამოუყენებია თავისი პირადი სარგებლობისთვის ექსპლოატაციის საქმეში, ს. ს. დ. მ. პ. ბორჯომის რაიონის კომიტეტმა დაადგინა, ეთხოვოს სრ. რკინის გზის პროფესიონალურ ცენტრალურ კომიტეტს, მიიღოს სასწრაფო ზომები, რომ ბორჯომის ქვე რაიონის ზემოთ დასახელებული დადგენილება გაუქმებულ იქნას ადგილობრივათ სავაჭრო გამოძიების საშუალებით, რომ ბოლო მოეღოს მუშებში უკმაყოფილებას.

ბორჯომის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირიდან მოხსენებას აკეთებს ლ. ანდღულაძე. კომიტეტმა დაადგინა: 1) პრეზიდიუმის მიერ დასახელებული კანდიდატი მამულის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის წევრებათ დამტკიცებულ იქნას. 2) მიეცეს წინადადება ყველა ამხანაგებს კავშირში მომუშავეებს, რომ მათი კანდიდატურა გაიყვანონ საზოგადო კრებაზე. 3) ეთხოვოს საქართველოს მუშათა პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ კომიტეტს, რათა მიიღოს სათანადო ზომები, რომ ბორჯომის სახელმწიფო მამულის მოსამსახურენი გათანასწორებულ იქნან მუშებთან ჯამაგირში იმ სახით, როგორც ეს ნ. ზ. ვ. ნებია ბორჯომის მოსამსახურეების

პროფესიონალურ კავშირის გამგეობის შუამდგომლობაში. ახალ დაბის ქვე კოლექტივიდან მოხსენებას აკეთებს ე. სირაძე, ის აღნიშნავს, რომ პარტიული კრებები ხდება სისტემატიურათ, დავაარსეთ სახალხო უნივერსიტეტი, ვკითხულობთ იაჩეიკებში ნოე ჟორდანიას წიგნებს და სხვა. შუშის ქარხნიდან მოხსენებას აკეთებს ს. ჩუხრუკიძე, რომელიც ამბობს: თანდათანობით ჩვენი იაჩეიკა ფართოვდება, მოითხოვენ მუშები სურსათის გაუმჯობესებას. დასასრულ კომიტეტმა დაადგინა: 14 სექტემბერს მოწვეულ იქნას პარტიის წევრთა საზოგადო კრება, სადაც გაკეთდება მოხსენება პარტიული ყრილობის შესახებ.

ქ. დიხლაძე.

თხოვნა

რედაქციამ მიიღო შემდეგი წერილი:

მე, აფრია პავლეს ძე ხუტაშვილი, ს. ზემო ნიჩბისის მცხოვრები, ცოლშვილის პატრონი გლეხი ვაცხადებ, რომ 26 მარიამობისთვეს კავთისხევის კომისარმა ერეკლე გედევანიშვილმა დამიბარა თავის კაბინეთში და მითხრა: „შენი შვილი მომიყვანე ამ საათშიო".

— ბატონო, ჩემს შვილს მთელი ნაძალადევის ბიურო იცნობს და თუ რაიმე დანაშაული მიუძღვის, ჰკითხეთ ნაძალადევის ბიურო-მეთქი.

გაზეთის უფროსს უნდა მოვახსენო, რომ მე ერეკლე გედევანიშვილმა ამდენი აღარ დამაცალა, აიღო მათრახი და სანამ არ დაიღალა, მირტყა. მათრახი რომ დაემტვრა, მუშტებით და ჩექმებით ფერდები ჩამამტვრია.

დავცემოდი, დაისვენებდა და შემდეგ ისევ ქამუნჯებსა მცემდა თავში და ფეხებში, სანამ არ დავვარდი და კარში არ გამომათრიეს. იმდენი მცემა, რომ თითონაც დაიღალა.

გთხოვთ გაზეთში გაუშვათ ეს ამბავი, რათა ყურადღება მომაქციოს მთავრობამ, ექიმი გამომიგზავნონ, გამშინჯონ და თუ ჩემი შვილი დამნაშავე იყო, მე, ცოლშვილის პატრონ კაცს რას მერჩოდენ, რატომ მომკლეს, სამართალი რისთვის არის?

აფრია პავლეს ძე ხუტაშვილი.

პასუხად ბ-ნ ს. ქაჯაიას

გაზ. „ახალ კომუნისტის" მე-11-ტე №-ში მოთავსებულია პასუხი, „ს. ქაჯაიასი" ჩემ მიერ გაზ. „ერთობის" 172 №-ში მოთავსებულ წერილზე.

ბ-ნ ქაჯაია სწერს: „მას (დ. ი. მ.) ალბათ არ ესმის და ან რათ უნდა იცოდეს, რომ დღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საპყრობილეებში ჩემისთანა უდანაშაულო შეპყრობილ პირებით არიან გავსებულნიო".

არასოდეს არ მიფიქრია და არ ვცრუდი ისეთს კომუნისტზე, როგორც ქაჯაია აღიარებს.

საქ. დ. რესპუბ. საპყრობილეებში არიან: ყაჩაღები, კაცის მკვლელები, ქურდები, მექრთამეები და სხვები; მათ შორის—კი 200-დე კომუნისტია; ქაჯაია კი საჯაროთ აცხადებს: „სულყველა ჩვენი ამხანაგებიაო", ბ-ნ ქაჯაია თავის პარტიას თვითონვე სწყევლავს ბ ნი ქაჯაია ხშირათ იმეორებს: „საბრალო", „პეშკავ" და სხვა...

უკიდურესი კომუნისტური ტერმინი არ უხმარია თორემ სხვა არაფერი აკლია. მე არ ვილაპარაკებ იმ კილოთი, როგორაც თქვენ. „ოპრიჩნიკებზე" ლაპარაკი ზედმეტია, ისინი ხომ თქვენი მარჯვენა ხელი იყვნენ ლეჩხუმში 18 ნ-ში და ეხლაც თქვენი ჩაბრძანებისას. თქვენ მეუბნებით: „რომ მე შეცდომაში შევდივარ ოჩიგავას შესახებ".

საერთოდ, სამეგრელოდან მოვლინებულ კომუნისტებს შორის ლეჩხუმში ნამდვილი „გვარით" მარტო თქვენ იხსენიებდით თავს, სხვებს კი ყველას გამოცვლილი ჰქონდათ გვარები. რაც შეეხება ს. ოჩიგავას, მე პირადათ ვიცნობდი და ვიცი, რომ ნამდვილად შტაბის უფროსათ იყო. შტაბის უფროსობა ხელიდან ხელში გადადიოდა და შეიძლება ამიტომ იბნევით. ლეჩხუმის შემდეგ, როგორც ვთქვი, ს. ოჩიგავა ვნახე თფილისში. და რაც შეეხება იმას, რომ, ს. ოჩიგავა „ხარებავათ" წოდებული ლეჩხუმში არ ყოფილაო, ამაზე ძალიან სტყუით. შემდეგ ამბობთ: „რომ ს. ოჩიგავამ იზურგა ქანქარი და გაგვექცაო". ამის ხსენება სრულებით საჭირო არ იყო. თუ თქვენმა ძვირფასმა ამხანაგმა თქვენი ქანქარი იზურგა, ამაზე თქვენ იჯავრეთ...

ბ ნი ქაჯაია ძალიან იდებს ბრალს თავზე „ბ. ჩიქოვანის" დახვრეტის შესახებ. მე ასეთი არაფერი დამიწერია. ის დახვრიტა შტაბმა თქვენს მოსვლამდი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ი. სვანიძე; კიდევაც რომ ყოფილიყავით იქ, ჩემი წერილით ბრალი მაინც არ გედებათ. მაშ, თავს რათ იწუხებთ?

ბ-ნი ქაჯაია მეკითხება, დავუსახელო მას ის პირები, რომლებიც დასახვრეტ სიაში ჰქონდათ შეტანილი. ამის დასახელება ზედმეტია; საიდან ვიცით ჩვენ? ამას ხომ მაშინ თქვენი ამხანაგები აღიარებდნენ. რაც შეეხება თვით სიებს, ეს თქვენ და თქვენს ამხანაგებს უკეთ გეცოდინებათ ცაგერიდან გაქცევის შემდეგ რა უყავით ისინი.

ბ ნი ქაჯაია მელაპარაკება ლეჩხუმის გლეხ-კაცობის სახელით. მირჩევს წავიდე და შევეკითხო მათ მის შესახებ.

ალბათ მე ჩინეთიდან მოსული ვგონივარ.—კმარა ბ-ნო ქაჯაიებო გლეხკაცობის სახელით ლაპარაკი, მაგით ფონს ვერ გახვალთ.

ჯარისკაცი: აკ. ხევხურიანი.

მუშათა შორის

თფილისი. 6 სექტემბერს მზარეულთა კავშირის გამგეობამ მოისმინა ამხ. ა. რაზმაძის მოხსენება, რომელმაც განუმარტა ცამეტობას, რომ უკანასკნელ მომატების გამო სურსათ-სანოვაგეზე ფასები საშინლათ გაიზარდა და ასეთი მოვლენა მზარეულთა კავშირის წევრებს ცუდ მდგომარეობაში აყენებს. მათი მდგომარეობა მით უფრო რთულდება, რომ ხსენებულ კავშირის წევრები ვერ სარგებლობენ სასურსათო ფონდიდან იაფი სურსათ-სანოვაგით, ვინაიდან კლუბების, რესტორანების, სასტუმროებისა და სასადილოების პატრონთ არ შეუტანიათ 1000 მანეთიანი გადასახადი, რის გამო მათ უხდებათ ბაზარზე იყიდონ მათთვის აუცილებელი საჭირო საგნები. ზემოხსენებულის გამო, მომხსენებელი წინადადებას აძლევს გამგეობას არჩეულ იქნას 2 წევრისაგან შემდგარი კომისია და მიენდოს მას შრომის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა, რათა მან დახმარება აღმოუჩინოს გამგეობას, რომ მწარმოებლებმა დეკრეტის თანახმად შეიტანონ სასურსათო ფონდში 1000 მანეთიანი გადასახადი.

მოხსენების მოსმენისა და საკითხის განხილვის შემდეგ, გამგეობამ აირჩია 2 კაცისაგან შემდგარი კომისია და მიანდო მას შუამდგომლობა აღძრას შრომის სამინისტროს წინაშე, რათა უკანასკნელმა დახმარება აღმოუჩინოს გამგეობას 1000 მანეთიან გადასახადის სასურსათო ფონდში შეტანის დეკრეტის სისრულეში მოსაყვანათ.

—

ბინა სპეციალისტ-ექიმთა საავათმყოფოსათვის. ქალაქის საერთო საავათმყოფო კასის შუამდგომლობით შრომის სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა სპეციალისტ-ექიმთა საავათმყოფოს დაეთმოს ბინა ავლაბარში, ვინაიდან საავათმყოფო კასას ხელშეკრულება აქვს ხსენებულ საავათმყოფოსთან, რომ უკანასკნელმა დაუთმოს მას კასის ავათმყოფებისათვის განსაზღვრული რიცხვი საწოლისა. შუამდგომლობა დასაბუთებულია იმით, რომ ავლაბრისა და ნავთლუღის რაიონებში არ არის შესაფერისად მოწყობილი საავათმყოფოები, სადაც საავათმყოფო კასას შეეძლოს მოათავსოს ხსენებულ რაიონებში მცხოვრები თავისი ავათმყოფები.

—

ბათომი. შრომის მინისტრის ამხანაგმა შრომის კომისარისა და მუშათა მაგიდის გამგესთან ერთად განიხილეს მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც დაკავშირებული იყო მუშათა მაგიდის მოქმედებასთან—საერთოდ და კერძოთ სხვადასხვა კატეგორიებისათვის პურის მიცემაზე. აღძრულ იქნა საკითხი საავათმყოფო კასის მოქმედების გაფართოვებისა, როგორც კასის წევრების ისე მათი ოჯახის წევრებისადმი საექიმო დახმარების ფართო მასშტაბით მოწყობის შესახებ.

— 4 სექტემბერს შრომის ბირჟაში ჩაწერილი იყო 107 კაცი, (57 მამაკაცი და 50 დედაკაცი), ახლად ჩაეწერა 17 კაცი (10 კაცი და 7 ქალი).

პროვინცია

სოფ. ბარნაბიანთ-კარი. (ქართლი) აქ წელს პურის მოსავალი ნაკლები იყო, მეტადრე ურწყავში, საიდგანაც ბევრმა თესლიც ვერ აიღო, თავთავი რიგიანი ვერ გამოიტანა, გვალვებმაც უსწრო სიმინდებს არა უშავს რა, თუმცა გვიანებრ გვალვამა და ქვენა ქარმა ბევრი ავნეს. ვენახებიდან ხომ მცხოვრებლები არას მოელიან. ჯერ ნაკლებად ესხა, მერე ისიც ფუჭდებოდა, ზოგი მარცვალი დაისვრიმებამდე ხმებოდა, ზოგი შემდეგ და სცვივოდა. მთაში წვიმების გამო თიქმის წყალი კარგა ხნობამდე უხვად მოდიოდა; დიდი გასაჭირი მარიამობისთვის პირველიდან (ახ. სტილ.) დაიწყო. მორწყვის დროს მერუებისა და ზოგიერთის მხრივ დიდი სიმრუდე იყო ჯერ სათავის რუებში, სადაც მ დიან იმ სოფლების ძალა მრავლობის გამო ამ პატარა სოფელთან შედარებითაც წყალი დიდი გაჰყავდათ. ამ სოფელს ბურჯებად ჰყავთ ხოლმე ჩოჩეთელში (წრეულ სამნი არიან. მ. რთ-ლი, ო. შ-ლი და ერთიც სხვა, რომელთაც გადუკვეთეთ დღიურზე 1 ნახ. ჩანახი), რომელ სოფელშიაც არის სათავე სოფ. ბარნაბიანის რუსი: თავის ნებით გადუვიდნენ დაწესებულ წესს, რომლითაც თანახმად მამულის სივრცისა ამ ორ სოფელმა სანახევროდ უნდა ადინონ მეტეხის რუს მესამედი, მაგრამ ორი წილი ჩოჩეთში ადინეს. გარდა ამისა, ამ ცეცხლის პურის ჰამის დროს უფრო მომკითხველნი შეიქნენ და მიდგომილობა გასწიეს მერუეებმა. წინად ყველით ან კიტრით, მწვანილით, პურით შეიჯერიებდა, ვისაც ექნებოდა ორ-სამ ჰიჯა არაყს დაალევინებდა, ეხლა მაწონსაც არა სჯერდებოდენ, ქათმებს კითხულობდენ. ზოგს დაუწყვეტეს მიცემული წყალი გაჭირვებულ მამულში და ვინც ქათამი დაუკლა მისცეს, ზოგს ფულსაც სთხოვდენ. მერუესაგან ამასაც გაიგონებდი: „არაყს მუცელი უნდა დავაწვევინოვო, ღვინო უნდაო". რადგან ეხლა არვის ჰქონდა სასმელი, მათთვის ძვირად ყიდულობდენ. წყლის მხრითაც უქონელი იჩაგრება. ბარნაბელები ვნანობდით, რომ აქაურივე არ დავაყენეთ მერუეთაც, მორიგეთაც. აქ ჩვეულებრივ ჩვენი ხალხისა, შურის საქმე იყო.

ბარნაბიანთ-კარის კოოპერატივმა „სიმართლემაც" დიდ ხანს ვერ იარსება. სამი თვეც არის ვაჭრობა აღარ სწარმოებს, მაღაზიაშიც არა არის რა. საკვირველი ეს არის ჩვენი ხალხისა, რომ ერთს ვინმე დაასახელებს თუმცა საფიქრებელია განზრახულობით და ქრთამით იყოს, სხვა უარს ვეღარ ახერხებს. არ ვაწყენინოვო და სთანხმდება,—„იყოსო" კამისარის ჩარევიდან უკან-უკან წავიდა მაღაზია, ერთიც თუმცა ბარნაბელივე იყო, იმისთანა აირჩიეს, რომელიც თფილისში დურგლობდა, საქონელს მოგვაწვდისო. და იმედებმა სხვანაირად ჩაუარეს. კოოპერატივში მსახურნი ხალხს ეპასუხებიან: „იზარალაო", ხალხს კი ეს აფიქრებს: „როგორ და რად უნდა ეზარალნაო". რევიზიის წევრებიც უყიცები შეხვდენ. ზოგს ეგრე ჰგონია და სხვასაც აჯერებს აღნიშნულ რიცხვს მარტო მიმატება გამოკლება უნდაო ვითომდა აღნიშნული ციფრისაო. ერთი თანამდებობის მექონეს, მეორე, მესამე აღარ უნდა მიანდონ იმ მოსაზრებით მაინც, რომ ძნელია ყველგან ისრე გასწვდეს, რომ ან ერთს ან მეორეს არ ავნოს. კომისარი წყლის მორიგობასაც მოეშვა, მაგრამ თავი შეირცხვინა.

ბარნაბიანთკარელი.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის" № 173 ნომერში დაბეჭდილია ჩემი წერილი, რომლის პირველმა ნახევარმა სიამოვნებით აღავსო ბ. ი. საბაშვილის გული, მაგრამ მეორე ნახევარმა კი, სადაც მე ვიხსენიებ მელქისედეკ ნაკაშიძეს, როგორც სიმღერა-გალობის მცოდნეს, შხამი გადაასხა ი. საბაშვილის ნაგრძნობ სიამოვნებას და კადრულობს ისეთ ბრალდების წამოყენებას ნაკაშიძის წინააღმდეგ, რომელიც არაპირდაპირ მეხებიან მეც, როგორც ავტორს წერილისას, რომელზედაც არ შემიძლიან პასუხი არ გავსცე.

ბ-ნი კილენჯერიძე,—ბრძანებს ბ. ი. საბაშვილი,—ეტყობა ვილაცას დიდ შეცდომაში შეუყვანიაო.

ვეცდებით დაგიმტკიცოთ საბუთებით, რომ მე არავის შეცდომაში არ შეუყვანივარ და არც ქარით მიტანილ სიტყვებზე ამიშენებია ჩემი წერილი.

წერილში აღნიშნულ იდეის განხორციელებას სულ ერთია ვინც ჩაუდგება სათავეში და ხელმძღვანელობას გაუწევს მას, აქ პიროვნება არაფერ შუაშია. რომ საკითხის შესახებ ზედმეტ პოლემიკას ადგილი არ ჰქონებოდა საკმაო იყო, ბ. ი. საბაშვილი გადაეფინჯათ ის ციტატები, რომელიც ჩემი წერილის ბოლოშია მოყვანილი და ეს საჭიროც იყო აღნიშნული დიადი საქმის გასაადვილებლათ. თქვენ არ დასწამებდით ნაკაშიძეს სრულ უნიჭობას, არ ცოდნას და ყოველივე სმენის არ ქონებას, რომ წაგეკითხათ შინ. საქმეების 1906 წ. №№ 23—24 ნომრებში დაბეჭდილი წერილი—პასუხათ ბ-ნ ქაჯეთელს, სადაც ნათლად სჩანს ნაკაშიძის ცოდნა გალობისა გურულ კილოზე *).

ბ-ნ ნაკაშიძის განსაკუთრებულ ლოტბარობის ნიჭში ეჭვი არ შეაქვთ მის ყოფილ მოწაფეებსაც—ერქომაიშვილებს, კონტრიძეებს და სხ., რომელთაც საუცხოვო გალობა-სიმღერის მცოდნეთ სთვლის ბ. ი. საბაშვილი. ისინი არ უარყოფენ მას, რომ რაც მათ იციან დღეს სიმღერა-გალობაში ნაკაშიძიდან აქვთ შესწავლილი. ამის წერილობითი საბუთიც ხელთ გვაქვს, თუ ნებავს ბ. ი. საბაშვილს.

ალექსანდრე ეპისკოპოსმა რომ კაბინეტის კარები მიუკეტა ნაკაშიძეს, ეს არ ყოფილა გამოწვეული უკანასკნელის უნიჭობით და გალობის არ ცოდნით.

როცა ალექსანდრე ეპისკოპოზი წავიდა გურიიდან, მგალობელთა კაბინეტიც თავის-თავათ უნდა დაკეტილიყო, რადგან მას ეპისკ. ალექსანდრე აძლევდა საშუალებას. სასწავლებლის ზედამხედველი, როგორც გამარუსებელი პოლიტიკით გაჟღენთილი, ვერ მოინელებდა მას, რომ სიმღერა-გალობით დაინტერესებულნი, რუსის ყმაწვილებიც კი სწავლობდნენ ნაკაშიძესთან და საუცხოვოთ ითვისებდნენ მომხიბლავ ჰანგებს გურულ სიმღერებისა.

ეხლა სხვა ავტორიტეტულ პირებს დაუგდეთ ყური ნაკაშიძის შესახებ. განსვენებული პეტრე კონჭოშვილი თავის „მოგზაურობა იერუსალიმში და ათონის მთაზე" (გვ. 181—192) ამბობს: „ათონის ქართველთა სავანეში ყოფილა ტკბილათ მგალობელთა კეთილ განწყობილი მწყობრი ვიდრე 1880 წლამდე. მათ შორის: მელქისედეკ ნაკაშიძე, გიორგი მალარაძე,—ღირსეული მოღვაწე შემოქმედის მონასტერში, კონტრიძე, ჭინჭარაძე და ფილიპე შარაშიძე. ამ გუნდს ალტაცებაში მოჰყავდა მსმენელნი—რუსნი, ბერძენნი. და ამ ზემოხსენებულ პირთა შეუსწავლათ ქართული გალობა საფუძვლიანათ რვა ხმაზე ბ. ანტონ დუმბაძის ხელმძღვანელობის ქვეშ"...

1909 წელს „შრომის" სტამბის გამოცემულ წიგნში—„მონა მღვთისა მაქსიმე როსტომის ძე შარაძე"-ში (გვ. 58—60) სწერია: „მოიწვიეს გალობის მასწავლებლათ მელქისედეკ ნაკაშიძე, რომელმაც გადმოაწყო საეკლესიო წიგნები: პარაკლიტონი, მარხვანი, ზადიკი, სადღესასწაულო და სხვა, ყველა ეს დიდი წიგნები, სთქვა ნაკაშიძემ, გარდა საწინასწარმეტყველოისა, სულ ერთიანათ საგალობელია. დიდათ მსურველი ვარ მრავალი საგალობელნი შევასწავლოთ, რომ არ დაიკარგოს სამშობლოსთვის". შემდეგ სწერია: „მართლაც დიდათ გაისარჯა ბ. ნაკაშიძე და დიდი ამაგი და შრომა დასდო. ხუთი წლის განმავლობაში განვლეს რვა ხმა პარაკლიტონი. მოხარულნი და განცვიფრებულნიც იყვნენ გალობის მშვენიერებისა და სიმრავლისა თვით მაქსიმე (შარაძე). ბ-ნ ნაკაშიძისაგან ნასწავლ გალობას მერე ხალხში გულმოდგინებით ავრცელებდა".

ქ. კილენჯერიძე.

(დასასრული იქნება).

ღია წერილი

თფილისის მე-6 უბ. გადასახადთა ინსპექტორს ვლ. ანდ. ლავროვს.

გასულ მარიამობისთვის ბოლო რიცხვებში თქვენდამი რწმუნებულ კანცელარიაში იყო თავისუფალი რეგისტრატორის ადგილი. მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის კომიტეტმა ამ ადგილზე წამოაყენა თავისი კანდიდატი, მთავრობის გიმნაზიაში კურს დამთავრებული, მცოდნე ქართული ენისა, შრომის მოყვარე, პატიოსანი და კეთილსინდისიერი ადამიანი. როგორც თქვენი პირადი განცხადებიდან კომიტეტის თავმჯდომარისა და მდივნისადმი ირკვევა, თქვენ დაგინიშნავთ კომიტეტის კანდიდატისთვის გამოცდა რუსულ ენაში, შეგინიშნავთ ამ მხრივ მისი სისუსტე და უარი გითქვამთ სამსახურში ჩარიცხვაზე.

კომიტეტი აღშფოთებულია ამგვარი თქვენი მოქმედებით და გთხოვთ სათანადო განმარტების შემდეგ კითხვებზე:

1) რომელი კანონის ძალით დაუნიშნეთ თქვენ გამოცდა კომიტეტის კანდიდატს რუსულ ენაში?

2) რომელი ენაა სახელმწიფო და, მაშასადამე, სავალდებულო მოსამსახურისათვის საქართველოს რესპუბლიკაში —რუსული თუ ქართული?

3) იცით თქვენ თუ არა იმ ცირკულიარების არსებობა, რომელნიც ჯერ კიდევ ა. წ. იანვრიდან და შემდეგ ივნისიდან უკანასკნელად მოითხოვდენ სრულ ნაციონალიზაციას, საქმეების ქართულ ენაზე წარმოებას, და ამისათვის კანცელარიის შტატის შესაფერ პირებით შევსებას?

4) ნუ თუ გიმნაზიაში კურს დამთავრებულს, რომელიც შეუდგა უმაღლეს მეცნიერების რუსულ ენაზე შესწავლას, არ შეეძლო სცოდნოდა რუსული ენა იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა დღეს ქართულ დაწესებულებაში რეგისტრატორის თანამდებობის ამასრულებელისათვის?

5) რით აიხსნება ის გარემოება, რომ თქვენ ქართველებისთვის რუსული ენის ზედმიწევნით ცოდნა სავალდებულოთ გაგიხდიათ და ამავე დროს კანცელარიაში (საქმის მწარმოებელს და რეგისტრატორებს) ამუშავებთ ისეთ პირებს, რომელთაც ქართული წერაკითხვა ღვთის რისხვად მიაჩნიათ?

6) ნუ თუ არის საშუალება, რომ თანახმად ხსენებულ ცირკულიარებისა, ესეთი პირები შეიცვალონ სახელმწიფო ენის მცოდნე პირებით? (თავისუფლად, როდესაც გნებავთ.)

კომიტეტი აღელვებულია თქვენი საქციელით და გთხოვთ დაუყოვნებლივ გასცეთ მას პასუხი პრესის საშუალებით ზემოდ დასახელებულ კითხვებზე.

ამავე დროს კომიტეტი სთხოვს სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობას, მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ინსპექტორ ლავროვის საქციელს და მიიღოს მის წინააღმდეგ ენერგიული ზომები.

თავმჯდომარე პ. ხვანიძე. მდივანი აფ. ჭიჩაქაძე, წევრები: ვ. გურჯია, დ. მაჭავარიანი.

ცნობები

ჩემი შვილი გერასიმე დადვაძე მსახურობდა „კილლავოდსკის" სადგურის ბუფეტში, მზარეულად. აგერ ორი წელი სრულდება მის შესახებ არაფერი ცნობა მაქვს. თუ ვინმემ რამე იცის, ვთხოვ შემატყობინოს. კათოლიკეთა ქ. № 16, სოფიო დადვაძეს.

—

მე გადაცემული მქონდა გიორგი პეტრეს ძე ჩიქოვანზე ჩეკი № 30 ნინოშვილის სახელობაზედ განზრახულ სკოლის ფონდის შემოწირულების შესაგროვებლათ. ჩეკი მივიღე და რვა მანეთი ფულიც. ჩეკში ამოხეული აღმოჩნდა 45 ფურცელი, რაშიაც ბრალს ვსდებ მას. ამიტომ ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში, სიმართლის გამოსარკვევათ. ჩემი მხრით მედიატორეთ ვასახელებ ელისა ბოხოხაძეს. ვსთხოვ მასაც 10 დღის ვადაში დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა დამისახელოს მედიატორე, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავ ოფიციალურ სასამართლოს.

სასკოლო კომიტეტის წევრი ს. ტუღუში.

---

*) იხ. ისტ. მიმოხილვა „ქართული საერო და სასულიერო კილოები" 3. კარბელაშვილისა, გამოც. 1898 წ.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

ექიმი
[illegible] ისააკის ძე [illegible]
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებების ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ზუბალოვის ქ. № 5. ტელეფ. 10—58
(11—ოქტ.)

ექიმი
[illegible] ისააკის ძე [illegible]
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებებიან ავადმყოფებს საღ. 4—7. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის). ტელეფონი 7—38. (11—ოქტ)

ექიმი
ლ. ვ. დიმენტი.
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალურად შინაგან და ქალის ავათმყ. დილის 9—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. ნიკოლოზის ქ. № 75, კიროჩნის ახლო ტელეფ 11—51. (11—ოქტ)

ექიმი
ნ. ა. ყიფშიძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა მიღება საღ. 4—6 საათ. ოლღის ქუჩა № 6. ტელეფონი 14—89. (2935 5—3)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 და საღამოს 6—8 საათამდე.
11 ოქტ.

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 11 ოქტ.

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 23 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ.
(თ. 2577)

ექიმი
ბ. გ. რამენდიკი
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. მკურნავი შინაგან ბავშვების და სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების სნეულებათა. ავათმყოფების მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 121 ტელეფო-

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
2913—თ.

ექიმი
ი. ა. ლომაური
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს საღამოს 7—8 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4— სექტ.)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყოროღანოვის ქ., 20,

ოზურგეთში
ექიმი
ს. ვ. აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606". ქ. სიამაშვილის სახლში.
(თ. 2634.)

ექიმი ლ. ა. სარალიძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო
(2383—თ.)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—3 ს. ფასი 50 მან. უსახსროთათვის უფასოდ 9—11 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (2824—თ.

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი [illegible] ქ. № 23 (1288 25—4)

ქ. ვ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
(2264—თ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. საზ. სახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. [illegible] 6 ნახ. საათამდე. 2722-ო)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს.
(2446—თ.

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს საზებით, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმება
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
(თ. 2528)

საჯარო ვაჭრობა
მეორე საარტილერიო დივიზიონი ამით აცხადებს რომ კვირას, 12 ენკენისთვეს დილის 10 საათზედ მოხდება წუნდადებულ ცხენების და კვიცების საჯაროთ გაყიდვა. მისამართი: ნავთლუღი, მეორე საარტილერიო დივიზიონის ბინები, სამხედრო ჰოსპიტალის ახლო. (2969—2—1)

უმორჩილესათ ვსთხოვ ვინც ჩემთან ერთად მოგზაურობდა № 7 მატარებელთან 28 აგვისტოს და რომელსაც საღ. სამტრედიაში დავავალე თვალი დაეჭირა ჩემი საკვაიაჟოსათვის, რომელშიც იყო ერთი პლაში, ერთი საბანი, ერთიც ბალიში, ხელსახოცი და დასაკეცი ნახევარ საქენიანი, და ვინაიდან ის ვაგონი მოხსნეს ფოთისთვის და მე კი სხვა ვაგონით წაველი ბათომისაკენ, შემატყობინონ სად არის, რომ წავიღებინო ჩემი ნივთები. ადრესი: ქუთაისი, მიხაილოვის ქუჩა № 75 გრიგ. [illegible]. (2957 1—1)

პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ
„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი"
იღებს ყოველგვარ საკერავს, რომელსაც თავის დროზე ასრულებს. აგრეთვე ამავე ჯგუფთა სკოლაში, რომელიც რამოდენიმე წელიწადი არსებობს, მიიღება მოწაფე ქალები ჭრა, კერვის, ქარგვის, და სხვადასხვა ხელსაქმის სასწავლებლათ, რომლებთანაც იმეცადინებენ საზოგადოებაში ცნობილი დამსახურებული მასწავლებლები. სკოლა სრულ-უფლებიანია. მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. მისამართი: ვერის დაღმართი, № 3, ბინა 9, ეზოში. (2775—10—8)

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
თ. მ. ფილოიანისა
ორთავე სქესისათვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება. (2838—10—9)

მიიღება ხელისმოწერა ყოველკვირეულ, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო
გაზეთ
„სოფლის მუშა"-ზე
გაზეთი გამოვა ორშაბათობით
ხელის მოწერის პირობები: 1 თვით 20 მანეთი, ამ წლის ბოლომდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი, ერთობის ქუჩა № 4, გაზეთ „ერთობის" რედაქციაში, „სოფლის მუშისათვის".